ივერიელი ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

№ 87
(11 544)

6 – 8 ნოემბერი, 2001 წ.
ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# ყველაზე მეტი ჩემპიონი საქართველოდანაა



2001 წლის ჩემპიონები საქართველოდან

ესპანეთის ქალაქ ოროპეზში დასრულდა იუნიორთა შორის მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში. ყველაზე მეტი ოქროს მედალი – 4, ათიდან – მოიპოვეს საქართველოს წარგზავნილებმა. სამი ქართველი მსოფლიო ჩემპიონი გოგონაა – 14,16 და 18 წლიანებში. ჩინეთმა და უნგრეთმა დაიმსახურა ორ-ორი „ოქრო", უკრაინა და რუსეთი კი თითო ოქროს მედალს დასჯერდა. ევროპელებმა აშკარად გატეხეს ინდოელთა წინააღმდეგობა, რომლებსაც შარშან ორი ჩემპიონი ჰყავდათ.

გაგაცნობთ მსოფლიო ჩემპიონებს ასაკის მიხედვით. *10 წლამდე გოგონებიდან* – ჟონგი ტანი (ჩინეთი) 10,0 ქულა; ბიჭებიდან – ტომას ფოდორი (უნგრეთი) – 8,5; *10-12 წლიანები.* გოგონებიდან – იონგ შენი (ჩინეთი) – 9,0; ბიჭებიდან – სერგეი კარიაკინი (უკრაინა) – 8,5; *12-14 წლიანები. გოგონებიდან – სალომე მელია (საქართველო)* – 9,5; *ბიჭებიდან* – ვიქტორ ედროსი (უნგრეთი) – 9,0; *14-16 წლიანები. გოგონებიდან – ნანა ძაგნიძე (საქართველო)* – 9,0, *ჭაბუკებიდან* – კონსტანტინე შანავა (საქართველო) – 8,5; *16-18 წლიანები. გოგონები – სოფიო გვეტაძე (საქართველო)* – 10,0; *ჭაბუკებიდან* – დმიტრი იაკოვენკო (რუსეთი) – 9,0.

ვულოცავთ გამარჯვებულებს. ამ მოჭადრაკეთა წარმატება იმის იმედს გვისახავს, რომ ქართული ჭადრაკის ტრადიციები საიმედო ხელშია.

**გთავაზობთ ინტერვიუს საქართველოს მოჭადრაკეთა დელეგაციის ხელმძღვანელთან, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელთან, ფედერაციის მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარესთან გიორგი მაჭარაშვილთან, რომელიც გუშინ რედაქციაში ესპანეთიდან დაბრუნებისთანავე მოვიწვიეთ.**



გ. მაჭარაშვილი

● ***„ბატონო გიორგი, ჯერ გვითხარით, ჩემპიონატში რამდენი ქვეყანა მონაწილეობდა?***

– წლეულს, ადრინდელზე მეტი ქვეყნის გუნდები ჩაებნენ ასპარეზობაში, სულ 60-ზე მეტი ქვეყნის 853 მოჭადრაკე იბრძოდა წარმატებისთვის.

● ***გუნდებისთვის კვოტა იყო დაწესებული?***

– ყველა ქვეყანას შეეძლო თითო ასაკში თითო გოგო-ბიჭის, ანუ 10-10 მონაწილის გამოყვანა, ამას ემატებოდა წინა მსოფლიო ჩემპიონატის ჩემპიონები და პრიზიორები, აგრეთვე კონტინენტების ჩემპიონები. ოფიციალური დელეგაციები ორგანიზატორებმა მიიღეს თავის ხარჯზე, მაგრამ მსურველებს შეეძლოთ საკუთარი სახსრებით მონაწილეობა, ოღონდ ეროვნული ფედერაციის წარდგინებით.

● ***ჩვენ შემთხვევაში როგორ იყო?***

– უფლება გვქონდა ოფიციალურად, დადგენილი წესით, წაგვეყვანა 15 მოჭადრაკე, მაგრამ წავიყვანეთ – 14. სამწუხაროდ, ზედმეტ მონაწილეზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა.

● ***ცხადია, უსახსრობის გამო...***

– რა თქმა უნდა!

● ***გზის ხარჯები ვინ აგინაზღაურათ?***

– განათლების სამინისტრომ, მაგრამ დაგვჭირდა ქვეყნის პრეზიდენტის რეზოლუცია. ბოლო დღემდე გაურკვეველი იყო წავიდოდით თუ არა. ქალბატონმა ნონამ, ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტმა, ქვეყანა შეძრა. ძლივს გამოინახა თანხა, რომელიც ფაქტობრივად გამოყოფილი იყო, მაგრამ გამოტანა გაძნელდა.

● ***რამდენი წელიწადია ტარდება ეს ჩემპიონატი?***

– 1955 წლიდან ეწყობოდა 20 წლამდე ვაჟთა ჩემპიონატი. 80-იან წლებში დაემატა 20 წლამდე ქალები და

იხ. მე-2 გვ.



საქართველოს თასის გათამაშება სპორტულ ცეკვებში

2

# გაზეთის დაბეჭდვის წინ:

● გამოქვეყნდა ბრიტანეთში ყველაზე მდიდარი სპორტსმენების სია. მიუხედავად იმისა, რომ წლეულს, აპრილში, წააგო მსოფლიო ჩემპიონატისთვის ბრძოლა, მოკრივე ლენოქს ლიუისი გახდა ინგლისის ყველაზე შემოსავლიანი სპორტსმენი, რომელმაც ბოლო 12 თვეში 16 მილიონი ფუნტი სტერლინგი გამოიმუშავა. მეორე ადგილზეა ფეხბურთელი დევიდ ბექჰემი — 6,5 მილიონი, მესამე — „ფორმულა-1"-ის პილოტი — ედი ირვაინი — 6 მილიონამდე.



● მსოფლიო ვაჟ ჩოგბურთელთა ახალ რეიტინგში კვლავ ბრაზილიელი გუსტავო კუერტენი ლიდერობს 771 ქულით, მეორე ადგილზე ისევ ლეიტონ ჰიუიტია (ავსტრალია) — 723, არც მესამე საფეხურს განუცდია ცვლილება — ამ ადგილს ძველებურად ინარჩუნებს ანდრე აგასი (აშშ) — 684. მომდევნო ადგილები შესაბამისად კვლავ შეინარჩუნეს ხუან კარლოს ფერერომ (ესპანეთი) — 568, ევგენი კაფელნიკოვმა (რუსეთი) — 558, პატრიკ რაფტერმა (ავსტრალია) — 557...

● ოლიმპიური ჩემპიონი, მძლეოსანი ლიუდმილა ენკვისტი თავისი ნებით აღიარებს, რომ იღებდა ანაბოლიკებს. ენკვისტმა, ამას წინათ, სურვილი გამოთქვა მონაწილეობა მიიღო ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში, ბობსლეიში. ახლა კი მას ორი წლით დისკვალიფიკაცია ელოდება. 1993 წელს, ეს მორბენალი, პირველად ამხილეს დოპინგის მოხმარებაში და მაშინ თავს იმართლებდა იმით, რომ არ იცოდა რა შემცველობის იყო ამბები, რომელსაც ის იღებდა ყოფილი მეუღლის ნიკოლაი ნაროჟილენკოს რჩევით. შეგახსენებთ, რომ ენკვისტი ადრე რუსეთი მოქალაქე იყო, შემდეგ კი შვედეთის ქვეშევრდომობა მიიღო.



ენკვისტი

„ძალიან ვწუხვარ მომხდარის გამო, ლამის თვითმკვლელობამდე მივიდე" — აცნობა ენკვისტმა შვედეთის ერთ-ერთ საინფორმაციო სააგენტოს.

## პუტინმა ჩემპიონებთან ივახშმა

2001 წლის მსოფლიო ჩემპიონები ძიუდოში ჩელიაბინსკელი ვიტალი მაკაროვი და მოსკოველი ალექსანდრ მიხაილინი თავიანთ მწვრთნელებთან, სპორტკლუბ „იავარა-ნევას" დამფუძნებლებთან და სპონსორებთან ერთად, ვახშამზე მიიწვია რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა.

სამსაათიანი აუდიენცია ქვეყნის მეთაურთან, რომელიც ამავე დროს კლუბ „იავარა-ნევას" პრეზიდენტიცაა, სპორტისადმი თანადგომის სულისკვეთებით იყო დალდასმული. პუტინმა პირადად მიულოცა წარმატებები მიწვეულებს და გამარჯვება უსურვა ევროპის საკლუბო თასზე „ოთხთა ფინალში".



ალექსანდრე იაშვილი

ქართველ ლეგიონერებს რომ სამშობლო ახსოვთ და მუდამ მზად არიან დახმარების ხელი გაუწოდონ თანამემამულეებს, ვისაც ეს ესაჭიროება, კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს ნაკრებისა და გერმანიის „ფრაიბურგის" თავდამსხმელმა ალექსანდრე იაშვილმა, რომელმაც ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოს საჩუქრად გადასცა 20 ცალი ტელევიზორი.

## ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები...



ჰერტა — მიონხენგლადბახი



ესპანიოლი — სოსიედადი



ლაციო — ბრეშა

**ფეხბურთი მსაჯს წერილით ციმბირის წყლულის ფხვნილი გაუგზავნეს**

7

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 2 წელიწადი და 9 თვე დარჩა

ზამთრის XIX ოლიმპიურ თამაშებს 97 დღე გვაშორებს

8–24 თებერვალი 2002 წ.

მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო — ქართულ სპორტს!

## გერმანიას 2012 წლის ოლიმპიური თამაშები სურს

გერმანიის ოლიმპიურმა კომიტეტმა სურვილი გამოთქვა უმასპინძლოს 2012 წლის ოლიმპიურ თამაშებს. კომიტეტის პრეზიდენტმა ხაინერ ხენცმა აღნიშნა, რომ 2012 წლის ოლიმპიადისათვის პრეტენზიას აცხადებენ ჰამბურგი, დიუსელდორფი, მაინის ფრანკფურტი, ლეიფციგი, შტუტგარტი და ბერლინი. ამ ქალაქებიდან გერმანიის ოლიმპიური კომიტეტი ღირსეულ კანდიდატს შეარჩევს 15 აპრილს თავის წევრთა სხდომაზე. შეგახსენებთ, რომ ადრე გერმანია ორჯერ მასპინძლობდა ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს — ბერლინი 1936 წელს და მიუნხენი — 1972 წელს.

*პირველი გვერდიდან*

## ყველაზე მეტი ჩემპიონი საქართველოდანაა

16 წლამდე გოგონების და ჭაბუკების ასპარეზობა. 90-იანი წლების დასაწყისიდან მოქმედებს ახლანდელი სისტემა: 10, 12, 14, 16, 18 წლამდელთა ასპარეზობა, ცალკე იმართება 20 წლიანთა ჩემპიონატი.

● ***დავუბრუნდეთ წლევანდელ ჩემპიონატს, როგორი ატმოსფერო სუფევდა?***

— ზედიზედ სამი წელია ამ ქალაქში ტარდება ეს ჩემპიონატი, ასე რომ, მასპინძლებს საკმაო გამოცდილება დაუგროვდათ. თავისუფალ დროს ახალგაზრდების გართობა-დასვენებისთვის ყველაფერი გაკეთდა. თუმცა, მე არ ვარ ტურნირის დღეებში გადამეტებული კულტურული ღონისძიებების მომხრე.

● ***რა სისტემით ჩატარდა ასპარეზობა?***

— შვეიცარიული სისტემით, 11 ტურად.

● ***ჩვენებისთვის როგორ წარიმართა ასპარეზობა?***

— თავიდანვე წარმატებული სტარტი გვქონდა. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. განსაკუთრებით გვასახელა სოფიკო გვეტაძემ, რომელიც პარტიას პარტიაზე იგებდა, ჩემპიონობა კი ერთი ტურით ადრე მოიპოვა. ცხადია, ჩვენებიდან პირველი ჩემპიონიც ის იყო.

● ***შეგვეძლო მეტი ოქროს მედლის მოპოვება?***

— მეხუთე ოქროს მედალიც განადღებული გვექნებოდა ზვიად იზორიას რომ მოეგო მერაბ გაგუნაშვილისთვის. მეგობრებმა უშეღავათოდ იბრძოლეს, საბოლოოდ ყაიმით დასრულდა ეს პარტია, რის წყალობითაც რუსეთმა ერთ-ერთი ოქროს მედალი მოიგო.

● ***არ შეიძლებოდა დათმობა?***

— როგორ არა, სხვები ამას გააკეთებდნენ. მე არ ჩავრეულვარ, აქვე გეტყვით, სოფიკო ხუხაშვილს ბოლო ტურში რომ მოეგო, ვერცხლის მედალს მოიპოვებდა. არადა, ხუხაშვილი ადრე ორჯერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი გოგონებში.

● ***თუ გაქვთ საბოლოო მონაცემები?***

— როგორ არა. მონაწილეთაგან უშედეგოდ დარჩა 47 ქვეყანა. მედლები განაწილდა მხოლოდ 13 ქვეყანას შორის, ოქრო კი მხოლოდ ხუთი ქვეყნის წარმომადგენლებს ხვდათ. აი როგორი სურათია მედლების განაწილებაში:

| ქვეყანა | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|
| საქართველო | 4 | 0 | 1 |
| ჩინეთი | 2 | 1 | 1 |
| უნგრეთი | 2 | 0 | 1 |
| რუსეთი | 1 | 3 | 1 |
| უკრაინა | 1 | 3 | 0 |
| ინდოეთი | 0 | 1 | 0 |
| აშშ | 0 | 1 | 0 |
| საფრანგეთი | 0 | 0 | 2 |
| ბელარუსი | 0 | 0 | 1 |
| ლიტვა | 0 | 0 | 1 |
| მონღოლეთი | 0 | 0 | 1 |
| პოლონეთი | 0 | 0 | 1 |

ჩვენებიდან ბრინჯაოს მედალი წილად ხვდა ზვიად იზორიას, რომელმაც 8,5 ქულა მოაგროვა (შეგახსენებთ, რომ ერთი თვის წინათ, იზორიამ 18 და 20 წლამდე ასაკში ევროპის ორგზის ჩემპიონობა მოიპოვა, შარშან კი 16 წლამდელებში მსოფლიოს ჩემპიონი იყო). წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატში საქართველოს სხვა მოჭადრაკეთა შედეგები ასეთია: მერაბ გაგუნაშვილი 7,5 ქულა, IV-X ადგილი, ბაადურ ჯობავა – 7, XI-XVI; ინგა ჭარხალაშვილი 6,5; სოფიო ხუხაშვილი – 8, II-VI (დამატებითი მაჩვენებლით გავიდა IV ადგილზე); გიგა ყუფარაძე – 7, XII- XVII ადგილი; შოთა აზალაძე – 7, XVI-XXIV; მადონა ბოკუჩავა – 7,5, V-X; ლუკა პაიჭაძე – 6,5, XVII – XXII; სოფიო გურამიშვილი – 7, IX-XVII.

ახლა იმის შესახებ, ჩვენი მოჭადრაკეებიდან ვინ საიდანაა: გურამიშვილი (თბ), პაიჭაძე (რუსთ), ბოკუჩავა (ზუგდ), აზალაძე (მცხეთა, თბ), მელია (ბათ), ყუფარაძე (ქუთ), ძაგნიძე (ქუთ; თბ), შანავა (წალენჯიხა), გვეტაძე (თბ), იზორია (ხონი; თბ), გაგუნაშვილი (თბ), ჯობავა (თბ), დავძენთ, რომ ჯობავა ამ ჩემპიონატში ერთადერთი დიდოსტატი იყო. იგი ესპანეთში დარჩა, სადაც ჩვენს ვაჟთა ნაკრებს შეუერთდება და ევროპის გუნდურ ჩემპიონატში იასპარეზებს. ეს შეჯიბრება დღეს, 6 ნოემბერს დაიწყება.

## კალათბურთი ● ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი



***IV ტური***

ქუთაისი — მაკაბი 74:96 (19:25, 18:25, 15:24, 22:22)

სტუ — ჭეოსელი — ბასკო 74:70 (14:16, 22:20, 23:13, 15:21)

სსუ — აზოტი 52:79 (11:16, 4:22, 8:19, 28:22)

დინამო — თსუ 65:68 (9:16, 15:21, 19:6, 22:25)

***V ტური***

სტუ — ჭეოსელი — ქუთაისი 93:62 (25:21, 22:15, 22:11, 24:15)

მაკაბი — სსუ 92:64 (27:18, 32:12, 8:12, 25:22)

აზოტი — დინამო 73:72 (13:17, 25:16, 18:26, 17:13)

თსუ — შევარდენი 73:54 (23:6, 12:10, 15:19, 23:19)

| | თ. | მ. | ფ. | ბ. | ქ.. |
|---|---|---|---|---|---|
| აზოტი | 5 | 4 | 1 | 374-332 | 9 |
| სტუ-ჭეოსელი | 4 | 4 | 0 | 365-261 | 8 |
| დინამო | 5 | 3 | 2 | 414-358 | 8 |
| მაკაბი | 4 | 3 | 1 | 342-304 | 7 |
| თსუ | 4 | 3 | 1 | 301-271 | 7 |
| ბასკო | 3 | 2 | 1 | 261-183 | 5 |
| ქუთაისი | 5 | 0 | 5 | 347-486 | 5 |
| შევარდენი | 4 | 0 | 4 | 224-300 | 4 |
| სსუ | 4 | 0 | 4 | 241-373 | 4 |

## სპორტული ცეკვები საქართველოს თასი

# კულუმბეგაშვილ-კვირიკაშვილის წყვილი კვლავ უძლიერესია

**ამ დღეებში თბილისმა სპორტულ ცეკვებში საქართველოს თასის უკვე ტრადიციულად ქცეულ ღია ასპარეზობას უმასპინძლა, რომელიც ჩაატარა სპორტული ცეკვების ეროვნულმა ფედერაციამ. გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს.**

***6 ცეკვა. 6-10 წლიანები:*** 1. ოთარ ფოლოდაშვილი — ქეთი ცხადაძე (ელეგია, თბ), 2. გიორგი კვიცარიძე — ნინო კვიცარიძე, 3. ირაკლი გოლოძე — სანია გამიდოვა (ორივე წყვილი — თელა, თბ); ***6 ცეკვა. 10-13 წლიანები:*** 1. რაშიდ მადატხანოვი — ელინა მელიკოვა (ჩინარი, ბაქო), 2. გიორგი და მარიამ გილიგაშვილები, 3. გიორგი მაკარაშვილი — ნინო ნარიმანიძე (ორივე წყვილი — თელა, თბ), ***8 ცეკვა. 1982 წლიანები და უმცროსები:*** 1. ლევან ხოჭოლავა — ნინო გელაშვილი (ელეგია, თბ), 2. რატი გაჩეჩილაძე — ქეთი ალავერდაშვილი (თელა, თბ), 3. ელვინ შელმიევი — საბინა აგაველიევა (ჩინარი, ბაქო); ***5 ცეკვა. ლათინურ-ამერიკული:*** 1. ლევან ხოჭოლავა — ნინო გელაშვილი (ელეგია, თბ), 2. რატი გაჩეჩილაძე — ქეთი ალავერდაშვილი (თელა, თბ), 3. დენის ხოხლოვი — ინარა გასანოვა (სერდაში, ბაქო); ***5 ცეკვა. ევროპული ცეკვები, 1988-89 წლიანები. საქართველოს თასზე:*** 1. გიორგი მირიანაშვილი — ნატალია მჟავი (თელა, თბ), 2. დენის ხოხლოვი — ინარა გასანოვა, 3. ნიკა კაშია — ინგა კბილცეცხლაშვილი (თელა, თბ); ***10 ცეკვა. 1986-87 წლიანები. საქართველოს თასზე:*** 1. გოგიტა გონგაძე — მზია ორველაშვილი, 2. პაატა ჩუტკერაშვილი — ლაურა ქველიძე (ორივე წყვილი — ელეგია, თბ), 3. ზურაბ კიკაბიძე — ნინო გუგავა (თელა, თბ); ***8 ცეკვა. უფროსები:*** 1. ირაკლი საბაძე — თეა დავითაია, 2. ტარიელ და ნინო თოდუები (ორივე წყვილი — თელა, თბ), 3. ალექსანდრე მარგიევი — ანასტასია ფოკლინა (ავანგარდი, გორი). ლათინურ-ამერიკული ცეკვების პროგრამა. ***16 წელს ზევით. საქართველოს თასზე:*** 1. დავით კულუმბეგაშვილი — ია კვირიკაშვილი, 2. გიორგი ტაბატაძე — თათული გოგიშვილი, 3. რაფაელ ანანიკიანი — ლიკა ჰაბუკიანი (სამივე წყვილი — თელა, თბ).

**ნინო ძავთარაძე**




*სურათზე: საქართველოს თასის მფლობელები: დავით კულუმბეგაშვილ — ია კვირიკაშვილის წყვილი.*

## მთამსვლელთა ახალი კავშირი და ქართული რეალობა

მაშინ, როცა ქვეყანაში მასმედია თავისუფალი სიტყვის დასაცავად იბრძვის, ახალი საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზენტაციაზე იკრიბებიან რუსთაველის კინოთეატრში.

ამ საგაზეთო წერილით სულაც არ ვაპირებ სპორტის პოლიტიკაში არევას, მაგრამ ახლად დაფუძნებულ „მთამსვლელთა საერთაშორისო ასოციაციის" პირველმა პრეზიდენტმა გია თორთლაძემ, ქართულ ალპინისტურ წრეებში ბოლოდროინდელი სკანდალური მოვლენების ფონზე, საკმაოდ გააზრებული და გაბედული პოლიტიკური ნაბიჯი გადადგა.

ახალ ორგანიზაციას, რომელსაც შტაბბინა თბილისში ექნება, უია-ს (ალპინიზმისა და მეკლდეურობის საერთაშორისო ასოციაციების კავშირი) პრეზიდენტი იან მაგნაუთ-დევისიც მიესალმა და ამით ახალი საქმის დასაწყისში, ამ ერთი შეხედვით მსგავს ორგანიზაციებს შორის ყოველგვარი მოსალოდნელი დაპირისპირების საფუძველი მოსპო. ყოველ შემთხვევაში, ამაში, ყველა დამფუძნებელმა დამარწმუნა.

გია თორთლაძეს სჯერა, რომ ასოციაციაში გაერთიანებული მთამსვლელები, ფინანსური გარანტებით, მსოფლიოში უდიდესი ალპინისტური ფირმების ნდობას დაიმსახურებენ. ასოციაციის ქართველი ფინანსური გარანტი და საპატიო პრეზიდენტი ექსპარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანიაა. ახალ ორგანიზაციას 2002 წლიდან მსოფლიოში საუკეთესო ასვლისათვის უკვე პრიზიც კი მომზადებული აქვს — „ოქროს კარაბინი", თორთლაძის თქმით, იგი არ აპირებს პრიზი „რომელიმე ქართველს" გადასცეს... ხუმრობით თუ სერიოზულად ნათქვამი შესაძლოა იმან განაპირობა, რომ ახალი ორგანიზაციის პრეზენტაციას არ ესწრებოდა ქართული მოქმედი ალპინიზმის ელიტა.

„მთამსვლელთა საერთაშორისო ორგანიზაცია", 58 წევრს აერთიანებს 37 ქვეყნიდან. იგი ოცმა ფიზიკურმა პირმა დააფუძნა, მათგან ოთხი ქართველია, დანარჩენები რუსეთიდან, დაღესტნიდან, სამხრეთ ოსეთიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, უზბეკეთიდან, ყირგიზეთიდან, უკრაინიდან, ბელორუსიიდან.

ყველა სტუმარი (დამფუძნებელი) საქართველოს — „საბჭოთა ალპინიზმის აკვანს" მისტიროდა. მიუხედავად იმისა, რომ იალბუზზე ქართველებს, უშბაზე კი რუსებს, ვიზები სჭირდებათ, „რუსთაველის" კინოთეატრში შეკრებილნი ერთიან, უსაზღვრო ალპინიზმზე საუბრობდნენ.

კიდევ ერთი გარემოება, რის გამოც თორთლაძის ორგანიზაციას უია-ს წინააღმდეგობა არ შეხვდება. ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, აზერბაიჯანის ალპინიზმის ფედერაციის პრეზიდენტმა სარიდან მურსაგულოვმა კარგად ამიხსნა: „უია-ს ისედაც ბევრი საქმე აქვს, ეს ორგანიზაცია კი უშუალოდ ამ ქვეყნებში (პოსტსაბჭოურ) იზრუნებს ალპინიზმის განვითარებაზეო."

ცნობილი გახდა, რომ მომავალ წელს ორი „დიდი ექსპედიცია" (თუ სად არ აკონკრეტებენ), 2003 წელს კი ნეპალური შეხვედრა იგეგმება.

დანარჩენს დრო გვიჩვენებს...

**თამუნა ჯიშკარიანი**

## XXI საუკუნის ფეხსაცმელი



მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში როლერები ახლა შვებით ამოისუნთქავენ. საქმე ის არის, რომ მათ არც მაღაზიებში და არც ბევრ სხვა დაწესებულებაში უშვებდნენ, სადაც მკაცრად იყო მითითებული: „რგოლებიანი ფეხსაცმლით შესვლა აკრძალულია", ისევე, როგორც „ძაღლებით შესვლა აკრძალულია". ახლა ისინი ამ პრობლემას იოლად გადაჭრიან. დიზაინერებმა იზრუნეს და შექმნეს რგოლებიანი ფეხსაცმლის ახალი მოდელი. გარეგნულად ეს არის ჩვეულებრივი „კროსოვკები", რომელსაც ლანჩაში ორი ბორბალი აქვს ჩამონტაჟებული. სრიალისას შეიძლება მათი გამოშვება, შემდეგ კი შეკეცვა. თითქმის ზუსტად ისე, როგორც ეს თვითმფრინავის აშვება-დაშვებისას ხდება. ახალი მოდელით გახარებულმა მოსწავლემ გადაწყვიტა გამოცდაზე ბორბლებიანი ფეხსაცმლით წასულიყო, მაგრამ სკოლის შენობასთან მისულმა აღმოაჩინა, რომ წუნდებული საქონელი მიჰყიდეს – ბორბლები არ აიკეცა. გამოცდაზე კი ასეთი ფეხსაცმლით არ დაუშვებდნენ. ბიჭუნა იძულებული გახდა გამოცდა[illegible]ე ფეხშიშველი წასულიყო, მაგრამ ამანაც არ უშველა, როგორც მოსალოდნელი იყო, ყმაწვილი გამოცდაზე არ დაუშვეს.

გამოიწერეთ 2002 წლისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ღირსეული მოქალაქე



ივანე ბოჭორიძე 85 წლისაა. მან უბრწყინვალესი გზა განვლო ფიზიკური აღზრდის მასწავლებლიდან, მმართველობის უმაღლეს დისტანციებში ხელმძღვანელ თანამდებობით დამთავრებული.

ი. ბოჭორიძე დაიბადა სოფ. მეტეხში. შრომითი საქმიანობა დაიწყო 1938 წელს თბილისის მე-8 საშუალო სკოლაში ფიზიკური აღზრდის მასწავლებლად. 1945 წელს ინიშნება ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარედ. 1951 წელს დააწინაურეს საქართველოს სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" ხელმძღვანელად. 1952 წელს კი სამუშაოდ გადაყვანილია საქართველოს მთავრობაში ფიზკულტურისა და სპორტის სექტორის გამგედ.

1954 წელს ი. ბოჭორიძე ინიშნება საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ. ამ თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში მრავალი სასიკეთო ძვრები მოხდა ფიზიკური კულტურისა და სპორტის აღორძინება — განვითარების საქმეში. კერძოდ, 1956 წელს მოსწავლეთა 1 საკავშირო სპარტაკიადაში საქართველოს წარმომადგენლებმა პირველი გუნდური ადგილი დაიკავეს. ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა. საფუძველი ჩაეყარა ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს წარმომადგენელთა გამარჯვებას.

1960-1985 წლებში ი. ბოჭორიძე ხელმძღვანელობდა საქართველოს სპორტსაზოგადოება „განთიადს" და „კოლმეურნეს", საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილებას. ეს ის პერიოდია, როდესაც საქართველოში პროფკავშირმა დაიწყო სპორტული სკოლების გახსნა. სპორტული ბაზების, ობიექტების მშენებლობა. ი. ბოჭორიძის უშუალო ხელმძღვანელობით და თაოსნობით აშენდა ქ. თბილისში 50 მეტრიანი საცურაო აუზი, სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის" სპორტული კომპლექსი, მძლეოსნობის სასახლე, ქ. ქუთაისის ცენტრალური საცურაო აუზი და სასტუმრო, ლენტეხში — ალპინისტური ბანაკი „აილამა" მესტიაში, საგარეჯოში, სიღნაღში, კასპში სპორტული დარბაზები, ხობში სპორტული კომპლექსი, რისთვისაც კასპში და ხობში იგი აირჩიეს საპატიო მოქალაქედ. გარდა ამისა, მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეობებსა და მეურნეობებში აიგო საჭიდაო დარბაზები. აღმშენებლობასთან ერთად დიდი ყურადღება ექცეოდა მოსწავლე ახალგაზრდობის სპორტულ დოსტატებას, გაიზარდა ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების ქსელი.

ამგვარი ადამიანის ღვაწლი შეუფასებელი არასდროს რჩება.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში გაწეული მუშაობისათვის ი. ბოჭორიძე დაჯილდოებულია საპატიო ნიშნის ორი ორდენით, 6 მედლით, საქართველოს მთავრობის და ყოფილი საბჭოთა კავშირის პროფკავშირების ცენტრალური საბჭოს საპატიო სიგელით. 1980 წლიდან რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერია.

1967 წელს ი. ბოჭორიძეს საქართველოს მთავრობის დადგენილებით მიენიჭა საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, ხოლო 1998 წელს პრეზიდენტის განკარგულებით — ღირსების ორდენით დაჯილდოვდა.

ი. ბოჭორიძე წლების მანძილზე მრავალჯერ ხელმძღვანელობდა, როგორც საკავშირო, ისე რესპუბლიკურ სპორტულ დელეგაციებს უცხოეთში, იყო საკავშირო პლენუმისა და პრეზიდიუმის წევრი.

ი. ბოჭორიძეს ჰყავს დიდებული ოჯახი, შვილები და შვილიშვილები, რომლებსაც გარკვეული წვლილი მიუძღვით სპორტულ მოღვაწეობაში.

ღვაწლმოსილი მუშაკი, დღესაც აქტიურად იღვწის საქართველოში სპორტისა და ფიზიკური აღზრდის განვითარების საქმეში. არის სპორტის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფესიული კავშირის პრეზიდიუმის წევრი. დღეს უკვე 85 წლის ამგვარი ადამიანი ჭეშმარიტ სპორტის მოღვაწეებთან ერთად, ძალიან სწუხს ქართული სპორტის ბედზე. არ სჯერა, რომ თაობათა ნაღვაწის შენარჩუნებას საფრთხე ემუქრება. ღმერთმა არც დააჯეროს.

ვუსურვებთ ბატონ ვანოს ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ქართული სპორტის სადიდებლად.

**ИРОДИ БЕЖАШВИЛИ,**

საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარის მოადგილე.

# ცნობები ინტერნეტის სამყაროდან

## ცზიუ — მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი

კონსტანტინ ცზიუ პირველი რუსეთელი პროფესიონალი მოკრივეა, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონის ყველა ქამარი შეკრიბა 63,5 კგ წონაში, მეორე რაუნდის დასრულებამდე 3 წამით ადრე, ცზიუმ ზაბომ ჯუდას ორი გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა და მეტოქე იატაკზე გაიშხლართა. გამაერთიანებელი მატჩის წინ, რომლის გამარჯვებული მოიპოვებდა ვბა-ს, ვბც-ს და იბფ-ის მსოფლიო ჩემპიონის ყველა ტიტულს, სპეციალისტები უპირატესობას ანიჭებდნენ ჯუდას, რომელიც თავის კარიერაში არც ერთხელ არ დამარცხებულა. ჯუდა და ცზიუ ადრე არასდროს შეხვედრიან ერთმანეთს. ამ მატჩის წინ ამერიკელი აცხადებდა: „ცზიუს ტექნიკაში ბევრი წუნია, მე მისგან გავაკეთებ შვეიცარიულ ყველს". ჯუდას მორალურად მხარს უჭერდა მაიკ ტაისონი, რომელიც დარბაზში იმყოფებოდა მის საგულშემატკივროდ, უამრავ თანამემამულეებთან ერთად.

ჯუდა, რომელიც რვა წლით უმცროსია 31 წლის რუსეთელზე, თავიდანვე შეტევაზე გადავიდა და თავისი აგრესიულობით მოიგო კიდეც პირველი რაუნდი. ერთ მომენტში მეტოქემ ცზიუ ბაგირთანაც მიიმწყვდია და რამდენიმე დარტყმა აგემა, მაგრამ საქმე კრიტიკულ მომენტამდე არ მისუ-




ლა, — ცზიუ მეტოქის მოქნეული მკლავის ქვეშიდან გამოძვრა.

მეორე რაუნდში თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა. ცზიუ ოსტატურად იცილებდა ჯუდას დარტყმებს და არავინ ელოდა თუ ყველაფერი ასე მალე და ასე მოულოდნელად შეიცვლებოდა. რაუნდის დამთავრებამდე რჩებოდა 5 წამი, როცა ჯუდა ზედმეტად გაიხსნა, მარჯვნიდან მიიღო დარტყმა და შეტორტმანდა, ამას მოჰყვა მეორე დარტყმა, რომელმაც ბოლო მოუღო ამერიკელს და იატაკზე აღმოჩნდა. სცადა რა წამოდგომა, მან უღონოდ გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და ისევ დავარდა, კვლავ წამოდგა... და რეფერიმ ბრძოლა შეწყვიტა.

შემდეგი 5 წუთი დარბაზი აკვირდებოდა ჯუდას ისტერიკას, რომელიც ირწმუნებოდა, რომ შეეძლო ბრძოლის გაგრძელება. მაყურებელი ჩადგა რეფერისა და გააფთრებულ ამერიკელს შორის, რომელმაც მაინც მოახერხა და რეფერის ცხვირს ხელთათმანის წვერით მისწვდა. ბოლოს ის დარბაზიდან შებოჭილი გაიყვანეს.

შედგება თუ არა მატჩ-რევანში? ჰკითხეს ცზიუს ჟურნალისტებმა. „ვნახოთ, ცხოვრება გვიჩვენებს" — უპასუხა ჩემპიონმა. თავისი აბსოლუტური ჩემპიონობა ცზიუმ მიიჩნია, როგორც რუსეთისა და ავსტრალიის უმაღლეს მიღწევად პროფესიულ კრივში. შეგახსენებთ, რომ ცზიუ ამჟამად ცხოვრობს ავსტრალიაში და ორი ქვეყნის მოქალაქეობა აქვს.



## „ფორმულა-1"-ის შედეგები და პერსპექტივები

რა მოიტანა „ფორმულა-1"-ის განვლილმა მსოფლიო ჩემპიონატმა? დღეს ამ კითხვაზე პასუხი ბევრს აინტერესებს და სპეციალისტებიც მზად არიან გააანალიზონ თავჩენილი ტენდენციები. პირველ ყოვლისა, აღნიშნავენ იმას, რომ გაიზარდა სისწრაფე, სრული სვლით მიდის „საბურავების ომი", გამოჩნდნენ ახალბედა მრბოლელები, თუმცა, არც სკანდალები იყო გამონაკლისი. აღნიშნავენ, რომ ბოლო ჩემპიონატი ადრინდელისგან გამორჩეული არ ყოფილა დაძაბულობით, პირიქით, ვადამდე ადრე გამოვლინდა ჩემპიონი. მეორე მხრივ, ორი ლიდერის ტრადიციული პაექრობისგან განსხვავებით, ვიხილეთ სამი ტოპ-გუნდი, რომლის მრბოლელებს შეუძლიათ მოიგონ „გრან-პრი".

და მაინც, რა მოუტანა მონაწილეებს განვლილმა ჩემპიონატმა? დღეს ხუთ გუნდზე შევაჩერებთ ყურადღებას.

***ფერარი:*** საუკეთესო ტექნიკა, უშეცდომო ტაქტიკა, ლია საბურავების პრობლემაც. — 

მრბოლთა მაღალი ოსტატობა — ყველაფერმა ამან ფერარს წარმატება მოუტანა ჩემპიონატის დასრულებამდე კარგა ხნით ადრე, როგორც პირად, ისე გუნდურ ჩათვლაში. რაც მთავარია, გუნდი არ დაიშალა. მისი ყველა წევრის და ტექნიკური მუშაკის კონტრაქტი გაგრძელდა.

***მაკლარენი:*** ამ გუნდმა 1994-97 წლების კრიზისი დაძლია და მერსედესთან კონტრაქტმა ის მოიტანა, რომ კულტჰარდს და ჰაკინენს თავისუფალი შესაძლებლობა მიეცათ ებრძოლათ რბოლებში წარმატებისთვის. მომავალ სეზონში მაკლარენის მთავარ ამოცანად კვლავ რჩება მოიპოვოს ჩემპიონის ტიტული.

***უილიამსი:*** გუნდში უილიამსის დაბრუნება მოწინავე პოზიციაზე, დე-ფაქტო შედგა. თუმცა, ჩემპიონატის დასაწყისში მან ხელიდან გაუშვა კონსტრუქტორთა თასისთვის ბრძოლაში მეორე ადგილი წაერთმია მაკლარენისთვის. ბმვ-სთან თანამშრომლობა უილიამს დიდად დაეხმარა დაეძლია კრიზისი და დაებრუნებოდა მოწინავე პოზიციას. ახლა ჩემპიონატის წინ ზოგიერთი შიდა უთანხმოების გამო გუნდი „სამოქალაქო ომის" საფრთხის წინაშე დგას.

***ბარი:*** როგორც იქნა, ვილნევმა მიიღო ღირსეული პარტნიორი. გასულ ჩემპიონატში გუნდმა ვერ შეასრულა მთავარი ამოცანა. ვერ გადაუსწრო ჯორდანს, იგივე ჰონდას ძრავებით. მთავარ მიღწევად კი უნდა ჩაითვალოს შიდა კონფლიქტების მოგვარება. ვილნევი კი კვლავ ორჭოფობს დარჩეს თუ არა გუნდში.

***პროსტი:*** კონსტრუქტორთა თასზე ოთხი ქულის მოპოვება ურიგო მიღწევად არ უნდა ჩაითვალოს, რადგან ადრე, საერთოდ ვერ იმსახურებდა ქულას. მაგრამ სულ უფრო ხშირად ჩნდება ცნობა, რომ პროსტი გაკოტრების ზღურბლზეა. სპონსორები მაინცდამაინც დიდ ინტერესს არ იჩენენ ამ გუნდისადმი. მოსაგვარებელია საბურავების პრობლემაც.

## სიხარულიძე — ბერეჟნაიას წყვილი შეიძლება გრან-პრის ფინალის მიღმა დარჩეს




ფიგურულ ციგურაობაში გრან-პრის სერიაში გამოსვლის გაგრძელება შეიძლება ვეღარ შეძლოს ანტონ სიხარულიძისა და ელენა ბერეჟნაიას წყვილმა. ანტონმა ვარჯიშზე სერიოზული ტრავმა მიიღო — ხელი გაიჭრა და 12 ნაკერი დაადეს. ნაკერებს მხოლოდ ამ კვირის ბოლოს თუ მოხსნიან. რუსეთელმა წყვილმა უკვე უარი განაცხადა გრან-პრის გერმანიის ეტაპზე, რომელიც გაიმართება გელზენკირხენში. მწვრთნელმა ტამარა მოსკვინამ თხოვნით მიმართა ფედერაციას, მის შეგირდებს სეზონის არა სამ, არამედ ორ ეტაპში მონაწილეობის უფლება დართონ. თანხმობის შემთხვევაში ეს დუეტი სანკტ-პეტერბურგში 23 ნოემბერს გამოვა ყინულზე. დავძენთ, რომ ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად ორ ეტაპზე წარმატებით გამოსვლითაც შეიძლება საგზურის მოპოვება კანადისთვის, სადაც გრან-პრის დამაგვირგვინებელი შეჯიბრება გაიმართება.

წუხელ, ცნობილი გახდა, რომ რუსეთელთაგან ვერც ილია ავერბახ — ირინა ლობაჩევას მოცეკვავეთა წყვილი მიიღებს მონაწილეობას გრან-პრის მესამე ეტაპზე. ტრავმირებულია ლობაჩევა.

## ლატვიელი მრბოლი ტრავმებით დაიღუპა

გუშინ, რიგის საავადმყოფოში, რეანიმაციის განყოფილებაში, მრავალრიცხოვანი ტრავმების შედეგად გარდაიცვალა ავტომრბოლი ერვინ იონასი, რომელიც წინა დღით ავარიაში მოჰყვა „ლატვია-2001"-ის ავტორალში მონაწილეობისას. იონასი პირველივე მოსახვევში დიდი სიჩქარით შეასკდა ხეს. შტურმანი უვნებელი გადარჩა, მძღოლი კი ნაავარიევი მანქანის ნაწილად დაჭრის შემდეგ გამოიყვანეს და კომაში მყოფი მოათავსეს საავადმყოფოში.

ეს უკვე მეორე შემთხვევაა, ბოლო ხანებში. 28 ოქტომბერს ბობსლეი-საციგაო ტრასაზე სიგულდაში დაიღუპა ლატვიელი გირტს ოსტენიეკსი. შეგახსენებთ, რომ ამას წინათ, აბუ-დაბიში საწყლოსნო „ფორმულა-1"-ში ასპარეზობისას დაიღუპა ლატვიის გუნდის სახელით მოასპარეზე ვიქტორ კუნიჩი.



## სლოვაკიის პრემიერ-მინისტრი ნიუ-იორკის მარათონში

სლოვაკიის პრემიერ-მინისტრი მიკულაშ ძურინდა ქვეყნის პირველი მეთაურია, რომელმაც ნიუ-იორკის მარათონში ასპარეზობის სურვილი გამოთქვა. ეს მასობრივი გარბენი, რომლის დისტანციაზე 50 ათასამდე მონაწილე გამოდის, ისტორიაში იმითაც შევა, რომ მასში სახელმწიფო ხელმძღვანელმა გამოთქვა. „მე ჩამოვედი ნიუ-იორკში, რათა გავიმარჯვო და ამერიკელებს ვაჩვენო, რომ ჩემი თანამემამულეები გულითა და სულით თანაუგრძნობენ ამერიკელთა ტკივილს, რაც არაადამიანურმა ტერაქტმა გამოიწვია" — თქვა მიკულაშ ძურინდამ. მისივე განცხადებით, თითეულმა ადამიანმა, რომლისთვისაც ძვირფასია დემოკრატიული ღირებულებები, თავისი წვლილი უნდა შეიტანოს საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

* * *

„ფორმულა-1"-ის აქციების მეოთხედის მფლობელი ბერნ ეკლსტოუნი აღიარებულია დიდი ბრიტანეთის ყველაზე მდიდარ ადამიანად. პრესის ცნობით, „ფორმულა-1"-დან მარტო წლევანდელმა შემოსავალმა ეკლსტოუნის წილად 788 მილიონი ფუნტი სტერლინგი შეადგინა.



## საქართველოს XIII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## უმაღლესი ლიგა, XIV ტური

„ლოკომოტივის“ სტადიონი. 4 ნოემბერი.

**ლოკომოტივი (თბილისი) – კოლხეთი 1913 (ფოთი) 2-0**

**ლოკომოტივი:** ლომაია, ბალაშვილი, სალუქვაძე, ლაცაბიძე, გელა ქორიძე, ანჩაბაძე, ჰიჰვეიშვილი, ონიანი, გოგიჩაიშვილი (გოგნაძე 90), დათვაძე (გოდერძიშვილი 82), კაიდარაშვილი (ბაქრაძე 86).

**კოლხეთი:** მ. გვასალია, მიქელთაძე, ქობულაძე, კრასოვსკი, ფანჩულიძე, ე. გვასალია (ბაჩილავა 82), კვირკველია, აკობია (ნარსია 24), გოროზია, მუმლაძე, ქუტიძე.

***გოლები:*** 1-0 ანჩაბაძე (78), 2-0 გელა ქორიძე (86).

***გააფრთხილეს:*** ონიანი, ანჩაბაძე, მიქელთაძე, ე. გვასალია, ქუტიძე.

***მსაჯი:*** ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

# ლიდერს გამოდევნებულნი

ფოთელები, თბილისს თავაწეულნი ესტუმრნენ. წინა ტურში ჩემპიონის დამარცხებით, საუკეთესო ექვსეულშიც შეაღწიეს, მაგრამ მეორე ადგილოსან რკინიგზელებს კი გაუძალიანდნენ, თუმცა ვეღარ გაუძლეს და დამარცხდნენ. „ლოკომოტივი“ შინ არ მარცხდება, თუ პირველ ტაიმში მეტოქეს შებრძოლების გარკვეულ შანსს აძლევს, მეორე ტაიმში უპირატესობას სრულად იყენებს და თამაშსაც იგებს, ასე იყო ამჯერადაც. კოლხები თავიდანვე დაცვაში განლაგდნენ და ერთადერთი თავდამსხმელით ცდილობდნენ ლომაიას შეწუხებას. თუმცა მატჩი ისე დამთავრდა, ფოთელებს თბილისელთა კარისკენ ხეირიანად ერთხელაც არ დაურტყამთ. „ლოკომოტივი“ კი გამუდმებით უტევდა. რომ არა მამუკა გვასალიას ჩინებული თამაში, მასპინძლები პირველივე ტაიმში გაიტანდნენ გოლს, მაგრამ ეს მათ მხოლოდ მატჩის მიწურულს მოახერხეს – თანაგუნდელთა მორიგი შეტევა ანჩაბაძემ თავური დარტყმით დააგვირგვინა. როცა მატჩის დასრულებას ოთხიოდე წუთი აკლდა, გოდერძიშვილის დარტყმის შემდეგ, ძელიდან ასხლეტილ ბურთს გელა ქორიძემ მიუსწრო და მეორედ აიღო სტუმართა კარი. თითქმის გვასალიას ბენეფისად ქცეული მატჩი, რომელსაც კოლხეთისთვის ერთი ქულა უნდა მოეტანა, ათიოდე წუთში ლოგიკურად დასრულდა. გაიმარჯვა უკეთესმა გუნდმა. „ლოკომოტივი“, რომელიც დიდი ხანია „ტორპედოსაა“ გამოდევნებული და კვალში უდგას, არც ამჯერად გაჩერებულა, თუმცა რკინიგზელთა მთავარმა კონკურენტმაც მოიგო. ქუთაისელებმა შაბათის ტურში „გურიას“ შინ იოლად სძლიეს და ერთქულიანი უპირატესობა შეინარჩუნეს. გაიმარჯვა კიდევ ერთმა დაწინაურებულმა გუნდმა. „მერანმა“ უპრობლემოდ მოუგო დაუძლურებულ „გორდას“ და მესამე საფეხური სატურნირო ცხრილში, სულ ცოტა, ერთი ტურით ისევ დაიკავა. ორი შეხვედრა ფრედ დამთავრდა. „ვიტ ჯორჯიამ“ ვერ მოუგო „მეტალურგს“, უკვე მერამდენედ, საჭირო ქულები გაფლანგა და ერთბაშად ორი „დინამოს“ გასწრების საშუალებაც ხელიდან გაუშვა. „სიონი“ და „სამგურალი“ ზესტაფონურ მატჩში აუღელვებლად დასცილდნენ ერთმანეთს.

ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი. 5 ნოემბერი

**დინამო (თბილისი) – დინამო (ბათუმი) 2-1**

**დინამო:** ზოიძე, სვანაძე, კანდელაკი, ვაშაკიძე, შაშიაშვილი, სახვაძე, (იაგორაშვილი 76), ამისულაშვილი, ბურდული, დარასელია, ზირაქიშვილი (გ. მიქაძე 89), ბობოხიძე (მანწკავა 66).

**დინამო:** ჰანტურია, გ. ჩხაიძე, მინდაძე, არჩვაძე, კობიძე (ქაცარავა 46), თურმანიძე, ხუჯაძე, დარჩიძე, მაჰუტაძე, ტულუში, აფხაზავა.

***გოლები:*** 1-0 ვაშაკიძე (30), 1-1 დარჩიძე (46), 2-1 ზირაქიშვილი (80).

***გააფრთხილეს:*** ქაცარავა.

***მსაჯი:*** პ. დოგრაშვილი (ქუთაისი).

# დინამოელთა როქი

სატურნირო ვითარებიდან გამომდინარე, გუშინდელი თბილისელ და ბათუმელ დინამოელთა „დერბი“ მხოლოდ ამ ორ კლუბს ეხებოდა – გამარჯვებული ოდნავ წინ წაიწევდა. საჭადრაკო ენით რომ ვთქვათ, როქი შედგა. თბილისის „დინამომ“ მოუგო ბათუმელ თანაკლუბელებს და 24 ქულით ახლა მეოთხეა. მასპინძლებმა კი მოიგეს, მაგრამ გვარიანად გაუჭირდათ, რაც განსაკუთრებით მათ მთავარ მწვრთნელზე აისახა. ასეთი მოუსვენარი, ეროვნულზე გივი ნოდია კარგა ხანია არ გვინახავს.

თამაში კი, როგორც წესია, მასპინძლებმა უფრო აქტიურად დაიწყეს, ტერიტორიული უპირატესობა მათკენ იყო, მაგრამ გააზრებული და სტუმართათვის სახიფათო ბევრი არაფერი შექმნილა. ასე იყო 30-ე წუთამდე, მანამდე, სანამ ბათუმელები არ დაჯარიმდნენ. ზღვისპირელთა კარისკენ მორიგ ჯარიმას კი გოლი მოჰყვა. მარცხენა ფლანგიდან კანდელაკმა მოზომილად ჩაჰკიდა მეტოქის საჯარიმოში. ვაშაკიძე დროულად და ზუსტად გამოეხმაურა თანაგუნდელის პასს და თავურით დააწინაურა თავისიანები. პირველი ტაიმი ასე დასრულდა. მეორე ნახევარი ხეირიანად გახურებულიც არ იყო, რომ სტუმრებმა ცენტრიდან წამოწყებული იერიში გოლად აქციეს. ასეთი სწრაფი გოლი იშვიათად გადის, მაგრამ ამჯერად ბათუმელებმა ეს მოახერხეს, დარჩიძემ საჯარიმოს წინა ხაზიდან დაიქუხა და ანგარიშიც გაათანაბრა. მერე თამაში გახურდა – თქვენი მოწონებული. ერთის შეტევას, მეორეც შეტევით პასუხობდა. ბურდულის დარტყმას მაჰუტაძის მწვავე იერიში მოჰყვა, მერე ზირაქიშვილ-



ელდარ მალხაზიშვილის ფოტო

ბობოხიძის დარტყმებიდან პირველი – მეკარემ მოიგერია, მეორე ცოტათი ასცდა კარს. ფლანგიდან სვანაძის ჩაკიდებული მეკარემ უკუაგდო. ბოლოს ისევ თბილისის „დინამომ“ იმარჯვა. მასპინძლებმა ისევ ჯარიმიდან გამოიჩინეს თავი – დარასელიას ჩაწოდებულს ზირაქიშვილმა სწორი მისამართი მოუძებნა. ეს ტრავმამოშუშებული ზაზას მეორე გოლი იყო მომდევნო მატჩში, რომელმაც „დინამოს“ ზედიზედ მეორედ მოაგებინა. ორთაბრძოლა ამით არ დასრულებულა. თამაშის მიწურულს ნაღდი საგოლე მომენტები კვლავ მასპინძლებს ჰქონდათ, ჯერ ზირაქიშვილის დარტყმული მოიგერია ჰანტურიამ, მერე კი მამის ალიკვალად უმცროსმა დარასელიამ გაიბრწყინა, მისი ოსტატური დარტყმა მცირედით ასცდა ბათუმელთა კარს.

თბილისელებმა მოიგეს პრინციპული მატჩი და მესამე ადგილზე მყოფ თანაქალაქელ „მერანს“ კვალში ჩაუდგნენ.

## პირველი ლიგა, XIV ტური

ლაზიკა – დინამო2 (თბ) 0-1
თორი – დილა 0-5 (მატჩი შეწყდა 30-ე წუთზე, ბორჯომელები მინდორზე ექვსნი დარჩნენ).
თსუ – კოლხეთი (ხ) 6-0
ცხინვალი – მერანი2 3-1
ლოკომოტივი3 – ლოკომოტივი (სამტრ) 0-0
მილანი (წნ) – ქობულეთი 2-2

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქობულეთი | 14 | 9 | 3 | 2 | 19-9 | 30 |
| დილა | 14 | 9 | 2 | 3 | 30-7 | 29 |
| თსუ | 14 | 9 | 2 | 3 | 26-9 | 29 |
| მილანი | 14 | 8 | 4 | 2 | 31-12 | 28 |
| ცხინვალი | 14 | 7 | 2 | 5 | 28-20 | 23 |
| ლოკომოტ.3 | 14 | 6 | 5 | 3 | 22-15 | 23 |
| დინ.2 (თბ) | 14 | 6 | 1 | 7 | 12-15 | 19 |
| ლაზიკა | 14 | 5 | 3 | 6 | 16-23 | 18 |
| ლოკ.(სამტ.) | 14 | 3 | 4 | 7 | 12-22 | 13 |
| კოლხ. (ხ) | 14 | 2 | 6 | 6 | 10-22 | 12 |
| მერანი2 | 14 | 2 | 1 | 11 | 3-28 | 7 |
| თორი | 14 | 1 | 1 | 12 | 9-41 | 4 |

## რეგიონული ლიგა

### აღმოსავლეთის ზონა

*III ტურის გადატანილი მატჩები*

*3 ნოემბერი*

ოლიმპიკი – ჭაბუკიანი 1-0
ზოოვეტი – მრეტები 3-1
დინამო3 (თბ) – მაუდი 1-2

*XIX ტურის გადმოტანილი მატჩი*

ჯავახი – მესხეთი 0-3

### ანონსი

XII ტურის მატჩი

ოლიმპიკი – ვიტ ჯორჯია-2 (12.11)

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| მცხეთა | 12 | 10 | 1 | 1 | 31-7 | 31 |
| ალაზანი | 12 | 9 | 2 | 1 | 35-12 | 29 |
| ივერია | 12 | 8 | 2 | 2 | 33-16 | 26 |
| მაუდი | 12 | 8 | 2 | 2 | 17-7 | 26 |
| ზოოვეტი | 12 | 8 | 1 | 3 | 24-13 | 25 |
| ვარძია | 12 | 6 | 3 | 3 | 13-11 | 21 |
| ვიტ ჯორჯ.2 | 11 | 5 | 4 | 2 | 28-8 | 19 |
| აკადემია | 12 | 5 | 4 | 3 | 21-15 | 19 |
| ცხუმი | 12 | 5 | 3 | 4 | 20-11 | 18 |
| ოლიმპიკი | 11 | 5 | 3 | 3 | 23-12 | 18 |
| ჭაბუკიანი | 12 | 4 | 6 | 2 | 16-9 | 18 |
| ლიახვი | 12 | 5 | 1 | 6 | 18-23 | 16 |
| მესხეთი | 13 | 5 | 1 | 7 | 16-22 | 16 |
| გორდა2 | 12 | 3 | 3 | 6 | 17-17 | 12 |
| თბილისი | 12 | 3 | 2 | 7 | 19-29 | 11 |
| კრწანისი | 12 | 3 | 2 | 7 | 13-27 | 11 |
| დინამო (თბ) | 12 | 2 | 4 | 6 | 13-18 | 10 |
| მერანი3 | 12 | 2 | 1 | 9 | 8-33 | 7 |
| მრეტები | 12 | 0 | 3 | 9 | 13-29 | 3 |
| ჯავახი | 13 | 0 | 0 | 13 | 8-67 | 0 |

### დასავლეთის ზონა, XIV ტური

სულორი – საპოვნელა 1-2
გურია2 – სამეგრელო 5-2
დინამო (სოხ) – მეტალურგი 3-0
ოკრიბა – დინამო2 3-1
მაღაროელი – სქური 3-2
ლუკა – საირმე 1-2
სალხინო – ჩიხურა 3-1
დინამო (ზ) – მერცხალი (გადაიდო)
ეგრისი – ინტერი (გადაიდო)
გზები – კოლხეთი 2 0-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერცხალი | 13 | 11 | 2 | 0 | 32-8 | 35 |
| სულორი | 14 | 11 | 0 | 3 | 39-17 | 33 |
| დინამო (ზ) | 13 | 10 | 2 | 1 | 25-7 | 32 |
| გურია2 | 14 | 10 | 2 | 2 | 41-11 | 32 |
| საპოვნელა | 14 | 9 | 3 | 2 | 43-16 | 30 |
| სალხინო | 14 | 9 | 0 | 5 | 23-18 | 27 |
| კოლხეთი2 | 14 | 7 | 5 | 2 | 26-12 | 26 |
| მაღაროელი | 14 | 7 | 1 | 6 | 29-23 | 22 |
| მეტალურ.2 | 14 | 6 | 3 | 5 | 20-18 | 21 |
| საირმე | 14 | 6 | 2 | 6 | 14-12 | 20 |
| ინტერი | 13 | 6 | 1 | 6 | 18-15 | 19 |
| ეგრისი | 13 | 6 | 1 | 6 | 21-22 | 19 |
| სქური | 13 | 5 | 1 | 6 | 19-27 | 16 |
| გზები | 14 | 5 | 1 | 8 | 16-24 | 16 |
| სამეგრელო | 14 | 3 | 2 | 9 | 19-34 | 11 |
| ლუკა | 14 | 3 | 0 | 11 | 12-44 | 9 |
| დინ. (სოხ) | 14 | 2 | 3 | 9 | 13-29 | 9 |
| დინ. (ბთ)2 | 14 | 2 | 2 | 10 | 8-26 | 8 |
| ჩიხურა | 14 | 2 | 1 | 11 | 10-36 | 7 |
| ოკრიბა | 13 | 1 | 0 | 12 | 6-34 | 3 |

# დავით ყიფიანი



სიცოცხლეშივე ქართული ფეხბურთის ლეგენდად ქცეულ დავით ყიფიანის უდროოდ წასვლას ამ ქვეყნიდან, მსოფლიო საფეხბურთო სამყარომ მიაგო ღირსეული პატივი. მის საპატივცემლოდ და უკვდავსაყოფად ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება. გამოჩენილ ქართველ ფეხბურთელთა შემოქმედების მემატიანე, ცნობილი ჟურნალისტი დემიკო ლოლაძე კიდევ ერთხელ მიუბრუნდა დავით ყიფიანის თემას. გასულ კვირას დღის სინათლე იხილა ოპერატიულად მომზადებულმა მისმა წიგნ-ალბომმა დავით ყიფიანზე, რომელიც შესანიშნავი საჩუქარია, როგორც დავით ყიფიანის თაყვანისმცემლებისთვის, ისე მომავალი თაობებისთვის.

დემიკო ლოლაძის შემოქმედებაში ეს გამოცემა, ქართველ ფეხბურთელებზე შექმნილ ნაშრომებს შორის ყველაზე სქელტანიანია, რაც სულაც არაა გასაკვირი. დათოს ნიჭის უამრავი თაყვანისმცემლის გამონათქვამები ქართულ თუ უცხოურ პრესაში, ცნობილი ადამიანების შეფასებები, უამრავზე უამრავი ფოტოკადრები, რომლებიც დავით ყიფიანის საფეხბურთო და არა მხოლოდ საფეხბურთო ცხოვრებას ასახავს, თავისთავად გახადა მასშტაბური ეს გამოცემა.

უდავოდ ქების ღირსია ტექნიკური უნივერსიტეტი და მისი ხელმძღვანელობა ავტორისადმი გაწეული ხელშეწყობისათვის. სწორედ მათი თანადგომით მიიღო ჩვენმა საზოგადოებრიობამ ეს მართლაც დიდი სიყვარულით დაღდასმული გამოცემა.

## ტექნიკური შედეგები

**მერანი – გორდა 3-0**

***მერანი:*** დევაძე, გოგიტაძე, კვეკვესკირი, ცქიფურიშვილი, დევიძე, დავითაშვილი (ივეჩიანი 87), ბაჯელიძე (თ. ჩხაიძე 50), კოშკაძე, გაგუა, ჰინჰარაული (გ. ილურიძე, 46) დ. ბოლქვაძე.

***გორდა:*** ბედიაშვილი, კედელაშვილი, ბურნაძე, ბერიძე, ზვ. ლაბაძე (გ. მიქაძე 63), ლაშა სილაგაძე, კაპანაძე, მელაძე, კ. ალადაშვილი, კიტეიშვილი (ა. ჯელაძე 32), მიშველიძე (გოცირიძე 63).

***გოლები:*** 1-0 გაგუა (47), 2-0 დავითაშვილი (58), 3-0 ბოლქვაძე (75).

***გააფრთხილეს:*** ბერიძე, კედელაშვილი, გოგიტაძე.

***მსაჯი:*** ა. შილაკაძე (თბილისი).

**სამგურალი – სიონი 1-1**

***სამგურალი:*** ბოდოკია, ბანძელაძე (კოპალიანი 31), დ. ჭელიძე, ფრანგიშვილი, ბერაძე, ლონლაძე, დარსაძე, კიკვიძე, კ. ჯანაშია, ხუნდაძე, გ. მიქაძე.

***სიონი:*** ვოლკოვი, სიდამონიძე, პაპიძე, შაკიაშვილი, კ. გოდერძიშვილი, მინდიაშვილი, ამბიძე (გლუნჩაძე 63), ბარქაია, ბარნოვი, ბ. შენგელია (დაუშვილი 81), მინაშვილი (ისიანი 56).

***გოლები:*** 0-1 ბ. შენგელია (23), 1-1 კ. ჯანაშია (67).

***გააფრთხილეს:*** ბარნოვი, ლონლაძე, ფრანგიშვილი, პაპიძე.

***მსაჯი:*** ა. ორდინიძე (ონი).

**ტორპედო – გურია 3-1**

***ტორპედო:*** გვარამაძე, აბრამიძე, ხვადაგიანი, მახვილაძე, თოდუა (ასათიანი 55), დიდავა, ქემოკლიძე (გ. შენგელია 64), იონანიძე, ლევან სილაგაძე, ქუთათელაძე (გუჩუა 56), პოროშინი.

***გურია:*** გ. დოლიძე, ფაცურია, გაბრიჩიძე, ორბელაძე, განევი, კაციაშვილი, პატარიძე (ლაშა ჩხაიძე 71), პატარაია (სულაკაძე 46), ზვ. ენდელაძე (ოდიკაძე 55), მარლიჩკილი, კ. მეტრეველი.

***გოლები:*** 1-0 ქუთათელაძე (17), 2-0 იონანიძე (34), 3-0 პოროშინი (51).

***მსაჯი:*** კ. მესხი (ზუგდიდი).

**ვიტ ჯორჯია – მეტალურგი 0-0**

***ვიტ ჯორჯია:*** ჭურაძე, თ. კობიაშვილი, ჭანკოტაძე (სულთანიშვილი 76), ჯ. მუჯირი, ლაშა ნოზაძე, თედორაძე, დ. დოლიძე (ზ. მეტრეველი 61), ადამია, გოგობერიშვილი, წუწუნავა, გოჩაშვილი (ცქიფურიშვილი 61).

***მეტალურგი:*** მერკვილიშვილი, მაღლაკელიძე, ორმოცაძე, მერებაშვილი, ლონლაძე, ხმალაძე, კრავეიშვილი (ფირცხალაიშვილი 71), მემარნიშვილი, შეყრილაძე, გეწაძე, გურეშიძე.

***გააფრთხილეს:*** ლონლაძე, ნოზაძე, მერებაშვილი.

***მსაჯი:*** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი).

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 14 | 11 | 2 | 1 | 36-10 | 35 |
| ლოკომოტივი | 14 | 11 | 1 | 2 | 30-8 | 34 |
| მერანი | 14 | 8 | 1 | 5 | 26-21 | 25 |
| დინამო (თბ) | 14 | 7 | 3 | 4 | 26-12 | 24 |
| დინამო (ბთ) | 14 | 6 | 4 | 4 | 19-12 | 22 |
| კოლხ.1913 | 14 | 6 | 3 | 5 | 23-23 | 21 |
| ვიტ ჯორჯია | 14 | 5 | 5 | 4 | 19-16 | 20 |
| სიონი | 14 | 4 | 4 | 6 | 10-20 | 16 |
| სამგურალი | 14 | 2 | 4 | 8 | 10-25 | 10 |
| გურია | 14 | 1 | 6 | 7 | 11-24 | 9 |
| მეტალურგი | 14 | 1 | 5 | 8 | 6-27 | 8 |
| გორდა | 14 | 1 | 4 | 9 | 10-28 | 7 |

### ბომბარდირები

8 – აშვეთია (ტორპედო)
ბობოხიძე (დინამო თბ)
წივწივაძე (კოლხეთი 1913)
გაგუა (მერანი)
7 – დათვაძე (ლოკომოტივი)
პოროშინი (ტორპედო)
6 – გოგობერიშვილი (ვიტ ჯორჯია)
დავითაშვილი (მერანი)
იონანიძე (ტორპედო)
მაჰუტაძე (დინამო ბთ).

## მიხეილ პირაევი — 80

# ფეხბურთის კარის საიმედო დარაჯი



ქართული სპორტის დიდებულ ისტორიაში ერთ-ერთი საპატიო ადგილი უკავიათ ფეხბურთის დიდოსტატებს, რომელთაც მრავალი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერეს თავიანთი დიდი გამარჯვებებით, როგორც საკავშირო, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. ამ დიდებას ჩვენს განთქმულ თავდამსხმელებთან, ნახევარმცველებთან და მცველებთან ერთად ჰქონდნენ ბრწყინვალე მეკარეები. დღეს ერთ-ერთს, ამ ლეგენდარული პლეადიდან, მიხეილ პირაევს 80 წელი შეუსრულდა.

თბილისის „ლოკომოტივის" ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდის აღზრდილი მიშა პირაევი სამამულო ომის დამთავრებიდან პირველსავე წელს მიიწვიეს თბილისის „სპარტაკის" ახალგაზრდულ გუნდში, რომელთანაც ერთად მოკლე დროში გაიარა ბრწყინვალე გზა მეორე ლიგის დებიუტანტობიდან, უმაღლესი დივიზიონის წევრობამდე. ძველ, სტაჟიან გულშემატკივრებს ალბათ ახსოვთ 1949 წლის შემოდგომა, როდესაც თბილისის „სპარტაკელებმა" დიდებული ანდრო ჟორდანიას ხელმძღვანელობით, როსტოვში ფინალურ ტურნირში ბრწყინვალედ გაიმარჯვეს და მოიპოვეს საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის საგზური. „სპარტაკელთა" ამ დიდ გამარჯვებაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის მიხეილ პირაევს.

მთელი შემდგომი სპორტული ცხოვრება მიხეილ პირაევისა, დაკავშირებულია უმაღლესი ლიგის გუნდებთან, ისეთებთან, როგორიცაა მფრინავთა გუნდი მოსკოვის „ვვს", რომელსაც იმ წლებში ხელმძღვანელობდა გაიოზ ჯეჯელავა და კურირებდა სტალინის ვაჟი ვასილი, მოსკოვის „სპარტაკთან", თბილისის „დინამოსთან", სადაც თამაშობდნენ ბევრი გამოჩენილი ფეხბურთელები და უდიდესი ვარსკვლავები. სწორედ ამ წლებში მოიპოვა ჩემპიონატების ოქროსა და ვერცხლის მედლები, საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში კი საბჭოთა კავშირის ხალხთა პირველი სპარტაკიადის ვერცხლის მედალი ხვდა.

თბილისის „დინამოში" მისი მოღვაწეობის წლები, ბრწყინვალე მეკარე ვლადიმერ მარღანიასთან ერთად, დაკავშირებულია დიდი გამოცდის მძიმე პერიოდთან, როდესაც მიმდინარეობდა გუნდში თაობათა ცვლა. სახელგანთქმული ფეხბურთელების შემცვლელად მოვიდა ახალგაზრდა თაობა. მეკარის ადგილი გუნდში დაიკავა ახალგაზრდა პერსპექტიულმა სერგო კოტრიკაძემ, რომლის შემდგომ დაოსტატებასა და სრულყოფაში, დიდი ამაგი მიუძღვის დღევანდელ იუბილარს.

უაღრესად თავმდაბალი, გულისხმიერი და კეთილი მიხეილ პირაევი სარგებლობს უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით ფეხბურთის მოყვარულებსა და მის მრავალრიცხოვან მეგობრებს შორის. მისი წვლილი ქართული ფეხბურთის განვითარებაში აღინიშნა ღირსების ორდენით. იუბილეს წინა დღეებში კი მან მიიღო მადლობა საქართველოს პრეზიდენტისაგან.

**რამაზ პაიჭაძე**

# გრიგოლ გაგუას სახელობის თასი – „დინამოს"

დასრულდა წარსულში ცნობილი ქართველი ფეხბურთელის, „დინამოს" ბავშვთა საფეხბურთო სკოლის დამაარსებლის გრიგოლ გაგუას სახელობის თასის გათამაშება, რომელიც მიეძღვნა სკოლის დაარსების 50 წლისთავს. ტურნირი ჩატარდა 6 ასაკობრივ ჯგუფში და მონაწილეობდნენ თბილისის და ქვეყნის სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები.

განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში იყო ყველაზე უფროს — 1986 წელს დაბადებულთა ტურნირი. რადგან ახლა სწორედ ისინი დგანან დიდი ფეხბურთის კარიბჭესთან.



ტურნირში გამარჯვებული «ნორჩი დინამოელი»

ფინალური მატჩი გაიმართა „დინამოს" სკოლის მოედანზე. ერთმანეთის წინაშე წარსდგნენ „დინამო" — ვ. კოპალეიშვილი და „დინამო" — ნ. ხიზანიშვილი. მატჩის არბიტრი იყო გურამ კანდალია, რომელმაც მცირე გამონაკლისის გარდა, კარგად გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას. პირველი ტაიმი გუნდებმა ფრთხილად დაიწყეს და პირველი თხუთმეტი წუთი ერთმანეთის დაზვერვას მოანდომეს. შემდეგ კი ვახტანგ კოპალეიშვილის აღსაზრდელებმა ნელნელა ხელთ იგდეს ტერიტორიული უპირატესობა და რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს მეტოქის კართან, მაგრამ უშედეგოდ. ისინი ორჯერ აღმოჩნდნენ მეკარესთან პირისპირ, თუმცა, ორჯერ ბურთი კარს ააცილეს. ნ. ხიზანიშვილის აღსაზრდელები ძირითადად კონტრშეტევაზე თამაშობდნენ და მხოლოდ ერთხელ მიეცათ ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა, მაგრამ ვახტანგ კეკოშვილის დარტყმული ბურთი მეკარემ კუთხურზე მოიგერია.

მეორე ტაიმი კვლავ ვ. კოპალეიშვილის აღსაზრდელთა უპირატესობით დაიწყო და რომ არა მათი თავდამსხმელების არაზუსტი თამაში და მეტოქის მეკარის გიორგი ჩიქობავას ყოჩაღობა, ანგარიში ადრევე გაიხსნებოდა. მეორე ტაიმის მე-20 წუთისთვის ნოდარ ხიზანიშვილმა განახორციელა ტაქტიკური გადანაცვლება — მარცხენა მცველი ირაკლი კარელიძე გადაიყვანა ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე და ამ მომენტიდან ნ. ხიზანიშვილის აღსაზრდელებმა თანდათანობით ხელთ იგდეს ინიციატივა. ეს განსაკუთრებით მათი შეტევის მარცხენა ფლანგზე ითქმის. მეორე ტაიმის 23-ე წუთზე დაინიშნა კუთხური ვ. კოპალეიშვილის აღსაზრდელთა კართან, რომელიც კარგად გამოიყენა დათო სამხარაძემ. კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს მაღალ ნახტომში შესწვდა და ლამაზი თავური დარტყმით მეკარისგან შორეულ მარცხენა კუთხეში გაიტანა გამარჯვების გოლი. ამის შემდეგ კიდევ უფრო გააქტიურდნენ ნ. ხიზანიშვილელები, მაგრამ ხან მეტოქის მეკარე იყო მოწოდების სიმაღლეზე, ხანაც თავდამსხმელები ურტყამდნენ არაზუსტად. მატჩის ბოლოს კვლავ ვ. კოპალეიშვილის ბიჭებმა იგდეს ხელთ უპირატესობა და შეეცადნენ ანგარიშის გათანაბრებას, მაგრამ მათ შეტევებს უკვე აკლდა სიმწვავე და ორგანიზებულობა. ხიზანიშვილის გუნდის გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანეს ნორჩმა ფეხბურთელებმა: მეკარე გიორგი ჩიქობავამ, გუნდის კაპიტანმა გიორგი ფოფხაძემ, გიგა ნათაძემ, ვათა კაციაშვილმა, გიორგი რაზმაძემ, ლევან ბიგვავამ, ლევან ხარაიძემ, არტურ ამაჯანოვმა, ირაკლი კარელიძემ, ლექსო ნიკურაძემ, დათო სამხარაძემ, ვახო კეკოშვილმა.

დამარცხებულთა გუნდში გამოირჩეოდნენ ვათა სულაბერიძე, გიგა ლობჟანიძე, რეზო კახნიაშვილი, ვასკა უსენაშვილი, მანჯგალაძე და გუნდის კაპიტანი რუსიძე. მიუხედავად დამარცხებისა, მათ ძალზე კარგი შთაბეჭდილება დატოვეს თავისი ლამაზი და გააზრებული თამაშით.

მატჩის დასრულების შემდეგ შედგა გამარჯვებულთა და პრიზიორთა დაჯილდოების ცერემონიალი. გრიგოლ გაგუას სახელობის ბავშვთა საფეხბურთო სკოლის მენეჯერმა ვალერიან თვალჭრელიძემ ნორჩ ფეხბურთელებს გადასცა თასები, დიპლომები და სამკერდე ნიშნები.

სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში გაიმარჯვეს და თასებითა და დიპლომებით დაჯილდოვდნენ:

1991 წლიანებში — ბათუმი, 1990 — „გრანდი", 1989 — „დინამო" — ხიტირი (მთ. მწვრთნელი), 1988 — „დინამო" — თ. კოსტავა (მთ. მწვ.), 1987 — „დინამო" — ზ. ებრალიძე (მთ. მწვ.), 1986 წლიანებში — „დინამო" — ნ. ხიზანიშვილი (მთ. მწვ.).

ტურნირის მაღალ დონეზე ორგანიზებისა და ჩატარებისათვის მადლობას იმსახურებს „დინამოს" საფეხბურთო სკოლის დირექტორი ოთარ გეგეჭკორი.

**კახა ხატიაშვილი**

# ფეხბურთი ყველასათვის

საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფკავშირის თაოსნობით ჩატარდა სამინისტროებისა და დეპარტამენტების თანამშრომელთა ტურნირი მინიფეხბურთში. პირველობა მოიპოვა კონტროლის პალატის გუნდმა, მეორე იყო რკინიგზის დეპარტამენტის, მესამე — სახელმწიფო დაცვის წარმომადგენლები.

*რობერტ ბაგოიანის ფოტოები*



კონტროლის პალატის გუნდი



რკინიგზის დეპარტამენტის გუნდი

## „სპარტა" ჩეხეთის ნაკრების საბაზო გუნდი გახდა

პრაღის „სპარტა" დამაჯერებლად თამაშობს ქვეყნის ჩემპიონატში, რაც შეუმჩნეველი, ცხადია, არ დარჩენია ნაკრების მთავარ მწვრთნელს იოჟეფ ხოვანეცს. მან ერთბაშად „სპარტას" რამდენიმე ფეხბურთელი ჩართო ეროვნულ ნაკრებში ბელგიელებთან მატჩის წინ. ამ შეხვედრამ უნდა გამოავლინოს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური სტადიის კიდევ ერთი მონაწილე, ფაქტობრივად, ნაკრებში მიწვეულია „სპარტას" ყველა მოთამაშე, რომლებსაც ჩეხეთის მოქალაქეობა გააჩნია. მწვრთნელი დიდ დანაკარგად მიიჩნევს, რომ ამ საპასუხისმგებლო მატჩში დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებს დიდებული იან კოლერი. ამავე მიზეზით პირველ მატჩში ვერ ითამაშებს დორტმუნდის „ბორუსიაში" მოთამაშე ტომაშ როსიცკი.

## რონალდო უარყოფს...

**რონალდომ უარყო გავრცელებული ხმები, თითქოს ორი წლის წინანდელმა ტრავმამ გუშინწინდელ მატჩში „ლეჩესთან" მას კვლავ შეახსენა თავი, რადგან მინდორზე მხოლოდ 13 წუთი დაჰყო და შეცვლა მოითხოვა. „ახლანდელი ტრავმა სულაც არ არის სერიოზული, მხოლოდ მსუბუქი დაჰიმულობა იყო და მეტი არაფერი" — განაცხადა „ინტერის" ბრაზილიელმა ლეგიონერმა.**



რონალდო

## ტერიმი „მილანის" მწვრთნელი აღარ არის

თურქმა სპეციალისტმა ფატიხ ტერიმმა მხოლოდ ოთხი თვე დაჰყო „მილანის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე. წუხელ ცნობილი გახდა ამ კლუბის ხელმძღვანელთა გადაწყვეტილება: ტერიმი „წითელ-შავიანების" მწვრთნელი აღარ არის. მისი თავკაცობით „მილანმა" მხოლოდ რვა მატჩი ჩაატარა იტალიის ჩემპიონატში. მოთმინების ფიალა, როგორც იუწყებიან, ყელამდე მას შემდეგ აევსო, რაც „მილანმა" 0-1 წააგო „ტორინოსთან". საგულისხმოა, რომ ერთი წელიწადიც არ გასულა და კლუბმა მეოთხე მწვრთნელი გამოიცვალა. მანამდე აქ მუშაობდნენ მალდინი, ალბერტო და ძაკერონი. ახალ მწრთნელად დაინიშნა კარლო ანჩელოტი. კონტრაქტის ვადა 2004 წლამდეა.

## ლაპარაკობენ კომენტატორები

- **„ფეხბურთელი ბურთიანად შევიდა საჯარიმოში, მაგრამ მას დაეუფლა მეკარე".**
- „ბურთით კარიაკია, შეიჭრა საჯარიმოში, დაარტყა! კარიაკი მაინც კარიაკია, მაგრამ ჩინებულად დაარტყა."
- **„კარბონიმ" ისე დაარტყა, დაამტკიცა, რომ ის მენდიეტა არაა."**
- „საჯარიმოში ნამდვილი სასაკლაოა, ბოდიშს ვიხდი ამ სპორტული ტერმინისათვის."
- **„როცა ბურთით რონალდოა, ისღა დაგვრჩენია, ხელები გაშალო, კარგი იქნება თუ ამას მეკარეც გააკეთებს, თანაც ისე წარმატებით, როგორც ამ ეპიზოდში"...**
- „სპარტაკმა" ისევ გაახარა გულშემატკივრები, ამჯერად — იტალიელები".
- **„რუსეთის ფეხბურთს ორი უბედურება სჭირს: მინდორი და ფეხბურთელები...**

# ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები...



ლევერკუზენი – კაიზერი



ინტერი – ლეჩე

## გერმანია

ბაიერნი — ჰამბურგი 3-0
ვოლფსბურგი — ნიურნბერგი 5-0
დორტმუნდი — შტუტგარტი 1-0
სტ. პაული — მიუნხენი 0-3
ლევერკუზენი — კაიზერი 2-1
შალკე — კიოლნი 3-1
ჰანზა — ვერდერი 0-1
ჰერტა — მიონხენგლადბახი 3-0
ფრაიბურგი — კოტბუსი 3-1

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 12 | 10 | 1 | 1 | 30-4 | 31 |
| ლევერკუზენი | 12 | 9 | 3 | 0 | 31-13 | 30 |
| დორტმუნდი | 12 | 8 | 1 | 3 | 18-8 | 25 |
| კაიზერი | 12 | 8 | 1 | 3 | 25-16 | 25 |
| შალკე | 12 | 6 | 3 | 3 | 15-13 | 21 |
| ჰერტა | 12 | 6 | 2 | 4 | 20-17 | 20 |
| ვერდერი | 12 | 6 | 2 | 4 | 17-14 | 20 |
| შტუტგარტი | 12 | 5 | 3 | 4 | 14-14 | 18 |
| ფრაიბურგი | 12 | 4 | 4 | 4 | 18-17 | 16 |
| მიუნხენი | 12 | 4 | 2 | 6 | 15-23 | 14 |
| მიონხენგლად. | 12 | 3 | 4 | 5 | 15-18 | 13 |
| ვოლფსბურგი | 12 | 3 | 3 | 6 | 18-17 | 12 |
| ჰამბურგი | 12 | 3 | 3 | 6 | 14-18 | 12 |
| ჰანზა | 12 | 3 | 3 | 6 | 11-17 | 12 |
| კოტბუსი | 12 | 3 | 2 | 7 | 13-25 | 11 |
| კიოლნი | 12 | 2 | 2 | 8 | 8-23 | 8 |
| სტ. პაული | 12 | 1 | 4 | 7 | 11-20 | 7 |
| ნიურნბერგი | 12 | 2 | 1 | 9 | 8-24 | 7 |

## ინგლისი

ლესტერი — სანდერლენდი 1-0
ბოლტონი — ევერტონი 2-2
მიდლსბრო — დერბი 5-1
ნიუკასლი. — ასტონ ვილა 3-0
საუთჰემპტონი — ბლექბერნი 1-2
ვესტ ჰემი — ფულემი 0-2
ლივერპული — მანჩესტერი 3-1
ლიდსი — ტოტენჰემი 2-1
არსენალი — ჩარლტონი 2-4
ჩელსი — იფსვიჩი 2-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიდსი | 11 | 6 | 5 | 0 | 15-5 | 23 |
| ლივერპული | 10 | 7 | 1 | 2 | 20-10 | 22 |
| ასტონ ვილა | 11 | 6 | 3 | 2 | 17-11 | 21 |
| ნიუკასლი | 11 | 6 | 2 | 3 | 21-14 | 20 |
| არსენალი | 11 | 5 | 4 | 2 | 24-13 | 19 |
| მანჩესტერი | 11 | 5 | 3 | 3 | 28-20 | 18 |
| ჩელსი | 11 | 4 | 6 | 1 | 16-11 | 18 |
| ბლექბერნი | 12 | 4 | 5 | 3 | 20-15 | 17 |
| ტოტენჰემი | 12 | 5 | 2 | 5 | 19-17 | 17 |
| ბოლტონი | 12 | 4 | 4 | 4 | 16-16 | 16 |
| ევერტონი | 11 | 4 | 3 | 4 | 18-17 | 15 |
| ფულემი | 11 | 3 | 5 | 3 | 12-12 | 14 |
| მიდლსბრო | 12 | 4 | 2 | 6 | 16-20 | 14 |
| ვესტ ჰემი | 11 | 4 | 2 | 5 | 12-21 | 14 |
| ჩარლტონი | 11 | 3 | 4 | 4 | 12-13 | 13 |
| სანდერლენდი | 12 | 3 | 4 | 5 | 10-14 | 13 |
| ლესტერი | 12 | 2 | 3 | 7 | 7-23 | 9 |
| იფსვიჩი | 12 | 1 | 5 | 6 | 13-20 | 8 |
| საუთჰემპტონი | 11 | 2 | 1 | 8 | 10-21 | 7 |
| დერბი | 11 | 1 | 4 | 6 | 9-22 | 7 |

## საფრანგეთი

ნანტი — მონაკო 2-1
სედანი — მონპელიე 2-0
გენგამი — სოშო 0-0
მარსელი — რენი 2-1
ბასტია — ლორიანი 3-1
მეცი — ოსერი 2-0
ტრუა — პსჟ 1-0
ლანსი — ბორდო 0-0
ლიონი — ლილი 4-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლანსი | 13 | 8 | 4 | 1 | 21-11 | 28 |
| ლილი | 13 | 7 | 5 | 1 | 16-9 | 26 |
| ლიონი | 13 | 7 | 3 | 3 | 25-13 | 24 |
| ოსერი | 13 | 6 | 5 | 2 | 20-13 | 23 |
| ბორდო | 13 | 5 | 6 | 2 | 9-5 | 21 |
| სოშო | 13 | 5 | 5 | 3 | 19-14 | 20 |
| ტრუა | 13 | 6 | 2 | 5 | 16-14 | 20 |
| პსჟ | 13 | 4 | 7 | 2 | 15-11 | 19 |
| ბასტია | 13 | 5 | 1 | 7 | 13-16 | 16 |
| ლორიანი | 13 | 4 | 3 | 6 | 22-23 | 15 |
| მონაკო | 13 | 4 | 3 | 6 | 13-14 | 15 |
| გენგამი | 13 | 4 | 3 | 6 | 11-21 | 15 |
| მარსელი | 13 | 3 | 5 | 5 | 8-10 | 14 |
| რენი | 13 | 4 | 2 | 7 | 14-24 | 14 |
| მეცი | 13 | 4 | 1 | 8 | 8-14 | 13 |
| მონპელიე | 13 | 2 | 6 | 5 | 8-11 | 12 |
| სედანი | 13 | 2 | 5 | 6 | 12-18 | 11 |
| ნანტი | 13 | 2 | 4 | 7 | 9-18 | 10 |



რეალი – ბარსელონა

## ესპანეთი

ბილბაო — ალავესი 2-1
ვალიადოლიდი — ვილიარეალი 1-0
ბეტისი — სარაგოსა 0-1
მალაგა — სევილია 1-3
ვალენსია — რაიო 2-1
დეპორტივო — ოსასუნა 5-1
მალიორკა — ტენერიფე 2-0
ესპანიოლი — სოსიედადი 1-2
ლას-პალმასი — სელტა 4-2
რეალი — ბარსელონა 2-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეპორტივო | 11 | 7 | 2 | 2 | 23-12 | 23 |
| ვალენსია | 11 | 5 | 6 | 0 | 14-8 | 21 |
| ბარსელონა | 11 | 5 | 4 | 2 | 17-9 | 19 |
| სელტა | 11 | 4 | 6 | 1 | 20-12 | 18 |
| ალავესი | 11 | 5 | 3 | 3 | 12-7 | 18 |
| ბეტისი | 11 | 5 | 2 | 4 | 13-12 | 17 |
| რეალი | 11 | 4 | 4 | 3 | 19-15 | 16 |
| სევილია | 11 | 4 | 4 | 3 | 18-15 | 16 |
| ბილბაო | 11 | 4 | 4 | 3 | 14-15 | 16 |
| ვალიადოლიდი | 11 | 4 | 3 | 4 | 13-16 | 15 |
| ლას პალმასი | 11 | 4 | 2 | 5 | 14-10 | 14 |
| ვილიარეალი | 11 | 4 | 2 | 5 | 12-12 | 14 |
| ოსასუნა | 11 | 4 | 2 | 5 | 10-16 | 14 |
| ესპანიოლი | 11 | 4 | 2 | 5 | 14-18 | 14 |
| სარაგოსა | 11 | 4 | 2 | 5 | 10-13 | 14 |
| მალაგა | 11 | 3 | 4 | 4 | 14-15 | 13 |
| სოსიედადი | 11 | 3 | 2 | 6 | 12-18 | 11 |
| მალიორკა | 11 | 3 | 2 | 6 | 8-16 | 11 |
| ტენერიფე | 11 | 3 | 1 | 7 | 7-15 | 10 |
| რაიო | 11 | 2 | 1 | 8 | 11-21 | 7 |

## იტალია

ვენეცია — კიევო 0-0
ატალანტა — რომა 1-1
ბოლონია — ფიორენტინა 3-2
ინტერი — ლეჩე 2-0
ლაციო — ბრეშა 5-0
პარმა — პერუჯა 2-1
პიაჩენცა — უდინეზე 1-2
ვერონა — იუვენტუსი 2-2
ტორინო — მილანი 1-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიევო | 9 | 6 | 2 | 1 | 18-8 | 20 |
| ინტერი | 9 | 5 | 3 | 1 | 15-9 | 18 |
| ბოლონია | 9 | 5 | 2 | 2 | 7-5 | 17 |
| რომა | 9 | 4 | 4 | 1 | 14-7 | 16 |
| მილანი | 9 | 4 | 3 | 2 | 17-12 | 15 |
| იუვენტუსი | 9 | 3 | 5 | 1 | 14-9 | 14 |
| ვერონა | 9 | 3 | 4 | 2 | 11-9 | 13 |
| ბრეშა | 9 | 3 | 4 | 2 | 15-17 | 13 |
| უდინეზე | 9 | 3 | 3 | 3 | 16-13 | 12 |
| ლაციო | 9 | 2 | 5 | 2 | 8-5 | 11 |
| პარმა | 9 | 2 | 5 | 2 | 10-10 | 11 |
| პერუჯა | 9 | 2 | 3 | 4 | 8-11 | 9 |
| ლეჩე | 9 | 2 | 3 | 4 | 10-15 | 9 |
| ტორინო | 9 | 2 | 3 | 4 | 9-15 | 9 |
| ფიორენტინა | 9 | 3 | 0 | 6 | 14-21 | 9 |
| პიაჩენცა | 9 | 2 | 2 | 5 | 12-14 | 8 |
| ატალანტა | 9 | 2 | 2 | 5 | 9-17 | 8 |
| ვენეცია | 9 | 0 | 3 | 6 | 5-15 | 3 |

## პორტუგალია

ვარზიმი — ბრაგა 0-0
სეტუბალი — ფარენსე 2-0
ბენფიკა — გიმარაეში 0-0
ბელენენსეში — ალვერკა 1-1
ბეირა მარი — ჟილ ვისენტე 2-2
მარიტიმუ — სანტა კლარა 1-0
პორტუ — ლეირია 2-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 11 | 7 | 1 | 3 | 20-8 | 22 |
| ბოავიშტა | 10 | 7 | 1 | 2 | 18-8 | 22 |
| ბენფიკა | 11 | 5 | 6 | 0 | 19-11 | 21 |
| მარიტიმუ | 11 | 6 | 0 | 5 | 16-12 | 18 |
| სპორტინგი | 10 | 5 | 2 | 3 | 20-9 | 17 |
| ბელენენსეში | 11 | 5 | 2 | 4 | 16-15 | 17 |
| გიმარაეში | 11 | 5 | 2 | 4 | 13-14 | 17 |
| ბეირა მარი | 11 | 4 | 4 | 3 | 24-21 | 16 |
| ბრაგა | 11 | 4 | 3 | 4 | 15-9 | 15 |
| ჟილ ვისენტე | 11 | 4 | 3 | 4 | 12-15 | 15 |
| სეტუბალი | 11 | 4 | 2 | 5 | 17-15 | 14 |
| ლეირია | 11 | 3 | 5 | 3 | 14-12 | 14 |
| ალვერკა | 11 | 3 | 2 | 6 | 14-23 | 11 |
| ფარენსე | 11 | 3 | 2 | 6 | 8-17 | 11 |
| სტ. კლარა | 11 | 2 | 4 | 5 | 8-16 | 10 |
| სალგეიროში | 10 | 3 | 1 | 6 | 8-18 | 10 |
| ვარზიმი | 11 | 2 | 3 | 6 | 10-22 | 9 |
| ფერეირა | 10 | 1 | 5 | 4 | 10-17 | 8 |

## ჰოლანდია

ტილბურგი — ვიტესი 1-1
სპარტა — პსვ 2-1
სიტარდი — ჰერენვენი 1-0
ვალვაიკი — დენ ბოსხი 3-3
ნაიმეგენი — ალკმაარი 1-0
როდა — გრონინგენი 3-1
ბრედა — ფეიენოორდი 2-1
გრააფსხაპი — აიაქსი 2-1
უტრეხტი — ტვენტე 1-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 11 | 8 | 2 | 1 | 26-10 | 26 |
| ვიტესი | 12 | 6 | 5 | 1 | 11-4 | 23 |
| ფეიენოორდი | 10 | 7 | 1 | 2 | 22-5 | 22 |
| ჰერენვენი | 12 | 6 | 3 | 3 | 23-10 | 21 |
| ბრედა | 12 | 5 | 3 | 4 | 17-20 | 18 |
| ნაიმეგენი | 12 | 5 | 3 | 4 | 11-16 | 18 |
| პსვ | 12 | 5 | 2 | 5 | 19-18 | 17 |
| ტილბურგი | 12 | 4 | 5 | 3 | 18-17 | 17 |
| უტრეხტი | 12 | 5 | 2 | 5 | 17-17 | 17 |
| ვალვაიკი | 12 | 4 | 2 | 6 | 14-15 | 14 |
| ალკმაარი | 12 | 4 | 2 | 6 | 14-15 | 14 |
| გრააფსხაპი | 12 | 4 | 2 | 6 | 15-19 | 14 |
| დენ ბოსხი | 12 | 2 | 7 | 3 | 15-16 | 13 |
| სპარტა | 12 | 3 | 4 | 5 | 14-25 | 13 |
| როდა | 12 | 3 | 2 | 7 | 13-18 | 11 |
| ტვენტე | 11 | 2 | 5 | 4 | 11-16 | 11 |
| გრონინგენი | 12 | 3 | 2 | 7 | 12-20 | 11 |
| სიტარდი | 10 | 2 | 2 | 6 | 9-20 | 8 |

## ბელგია

ანდერლეხტი — მოლენბეკი 2-2
ლიერსი — შარლერუა 1-2
ლოკერენი — ბეერსხოტი 3-2
ბევერენი — ვესტერლო 1-1
ანტვერპენი — მუსკრონი 2-1
ლუვიე — სტ. ტრუიდენი 1-0
ბრიუგე — ლომელი 3-1
აალსტი — გენტი 1-3
გენკი — სტანდარდი 1-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გენტი | 12 | 9 | 2 | 1 | 24-13 | 29 |
| ბრიუგე | 11 | 9 | 1 | 1 | 28-11 | 28 |
| გენკი | 12 | 7 | 4 | 1 | 33-15 | 25 |
| ლოკერენი | 12 | 7 | 1 | 4 | 19-12 | 22 |
| ანდერლეხტი | 11 | 5 | 4 | 2 | 23-14 | 19 |
| სტანდარდი | 11 | 5 | 4 | 2 | 18-10 | 19 |
| სტ. ტრუიდენი | 12 | 5 | 3 | 4 | 21-18 | 18 |
| შარლერუა | 12 | 5 | 2 | 5 | 12-16 | 17 |
| ბეერსხოტი | 12 | 4 | 4 | 4 | 26-20 | 16 |
| აალსტ ი | 12 | 5 | 1 | 6 | 13-24 | 16 |
| ლიერსი | 12 | 3 | 4 | 5 | 14-17 | 13 |
| ლომელი | 12 | 3 | 4 | 5 | 21-29 | 13 |
| მუსკრონი | 12 | 4 | 0 | 8 | 18-17 | 12 |
| ვესტერლო | 11 | 3 | 2 | 6 | 16-18 | 11 |
| ანტვერპენი | 12 | 3 | 2 | 7 | 17-22 | 11 |
| მოლენბეკი | 12 | 3 | 2 | 7 | 13-20 | 11 |
| ლუვიე | 12 | 2 | 2 | 8 | 12-27 | 8 |
| ბევერენი | 12 | 1 | 4 | 7 | 10-31 | 7 |

## ჩეხეთი

სიგმა — იაბლონეცი 0-0
ჟიჟკოვი — დრნოვიცე 3-2
სინოტი — პრ. კრალოვე 2-0
ბლშანი — ბოჰემიანსი 0-2
ოპავა — ბანიკი 0-2
პრჟიბრამი — სლავია 2-3
სპარტა — ბრნო 6-0
ლიბერეცი — ტეპლიცე 4-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 13 | 11 | 0 | 2 | 29-6 | 33 |
| ჟიჟკოვი | 13 | 10 | 1 | 2 | 24-10 | 31 |
| ბოჰემიანსი | 13 | 9 | 3 | 1 | 22-7 | 30 |
| ბანიკი | 13 | 7 | 3 | 3 | 21-14 | 24 |
| ლიბერეცი | 13 | 6 | 5 | 3 | 21-12 | 23 |
| სლავია | 13 | 7 | 1 | 5 | 25-20 | 22 |
| ბრნო | 13 | 5 | 4 | 4 | 15-21 | 19 |
| იაბლონეცი | 13 | 4 | 4 | 5 | 10-12 | 16 |
| სინოტი | 13 | 4 | 4 | 5 | 12-15 | 16 |
| დრნოვიცე | 13 | 4 | 2 | 7 | 17-17 | 14 |
| სიგმა | 13 | 3 | 5 | 5 | 11-17 | 14 |
| პრ.კრალოვე | 13 | 4 | 1 | 8 | 14-26 | 13 |
| ტეპლიცე | 13 | 3 | 3 | 7 | 14-21 | 12 |
| პრჟიბრამი | 13 | 3 | 2 | 8 | 12-21 | 11 |
| ბლშანი | 13 | 3 | 1 | 9 | 18-26 | 10 |
| ოპავა | 13 | 1 | 1 | 11 | 10-29 | 4 |

## შოტლანდია

დანდი — დანდი იუნ 1-1
ჰართსი — ლივინგსტონი 1-3
კილმარნოკი — ჰიბერნიანი 0-0
მოზერუელი — დანფერმლაინი 1-0
სტ. ჯონსტონი — სელტიკი 1-2
რეინჯერსი — აბერდინი 2-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 13 | 12 | 1 | 0 | 31-5 | 37 |
| რეინჯერსი | 13 | 9 | 3 | 1 | 31-9 | 30 |
| ლივინგსტონი | 13 | 6 | 5 | 2 | 19-11 | 23 |
| აბერდინი | 13 | 6 | 2 | 5 | 21-21 | 20 |
| ჰიბერნიანი | 13 | 5 | 3 | 5 | 24-19 | 18 |
| დანდი | 13 | 5 | 3 | 5 | 15-21 | 18 |
| დანდი იუნ | 13 | 4 | 4 | 5 | 16-25 | 16 |
| კილმარნოკი | 13 | 4 | 3 | 6 | 13-18 | 15 |
| ჰართსი | 13 | 4 | 1 | 8 | 16-20 | 13 |
| მოზერუელი | 13 | 3 | 4 | 6 | 16-25 | 13 |
| დანფერმლაინი | 13 | 4 | 0 | 9 | 18-27 | 12 |
| სტ. ჯონსტონი | 13 | 0 | 3 | 10 | 9-28 | 3 |

## საბერძნეთი

ქსანთი — ირაკლისი 4-1
აეკ — პანათინაიკოსი 2-0
იონიკოსი — პაოკი 1-1
არისი — ეთნიკოსი 4-2
პანიონიოსი — აკრატიტოსი 2-2
პანაჰაიკი — ოფი 1-2
ეგალეო — ოლიმპიაკოსი 3-4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 5 | 4 | 1 | 0 | 15-4 | 13 |
| აეკ | 5 | 4 | 0 | 1 | 10-3 | 12 |
| ოფი | 5 | 3 | 1 | 1 | 7-7 | 10 |
| არისი | 5 | 2 | 3 | 0 | 7-4 | 9 |
| პანათინაიკოსი | 5 | 2 | 2 | 1 | 15-5 | 8 |
| ქსანთი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-6 | 7 |
| ეთნიკოსი | 5 | 2 | 1 | 2 | 6-7 | 7 |
| ირაკლისი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-9 | 7 |
| პაოკი | 5 | 1 | 3 | 1 | 7-7 | 6 |
| აკრატიტოსი | 5 | 1 | 2 | 2 | 5-5 | 5 |
| პანაჰაიკი | 5 | 1 | 1 | 3 | 6-15 | 4 |
| პანიონიოსი | 5 | 0 | 3 | 2 | 6-10 | 3 |
| იონიკოსი | 5 | 0 | 2 | 3 | 3-10 | 2 |
| ეგალეო | 5 | 0 | 1 | 4 | 6-15 | 1 |

## პოლონეთი

**A ჯგუფი**

გურნიკი — ზაგლებე 2-2
პოლონია — ვიძევი 3-0
ვისლა — კატოვიცე 3-0
ოსტროვეცი — ოდრა 0-3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოდრა | 14 | 10 | 1 | 3 | 28-14 | 31 |
| ვისლა | 14 | 9 | 1 | 4 | 28-15 | 28 |
| პოლონია | 14 | 7 | 4 | 3 | 25-13 | 25 |
| ზაგლებე | 14 | 5 | 3 | 6 | 23-28 | 18 |
| კატოვიცე | 14 | 5 | 3 | 6 | 17-23 | 18 |
| ოსტროვეცი | 14 | 4 | 3 | 7 | 14-18 | 15 |
| გურნიკი | 14 | 2 | 5 | 7 | 13-22 | 11 |
| ვიძევი | 14 | 3 | 2 | 9 | 9-24 | 11 |

**B ჯგუფი**

სტომილი — გროცლინი 0-0
რუხი — ამიცა 2-2
პოგონი — ლეგია 0-3
რადომსკო — შლიონსკი 1-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლეგია | 14 | 8 | 3 | 3 | 31-14 | 27 |
| ამიცა | 14 | 6 | 6 | 2 | 26-16 | 24 |
| პოგონი | 14 | 7 | 3 | 4 | 20-16 | 24 |
| რუხი | 14 | 5 | 4 | 5 | 15-17 | 19 |
| შლიონსკი | 14 | 5 | 3 | 6 | 21-25 | 18 |
| რადომსკო | 14 | 4 | 4 | 6 | 10-16 | 16 |
| გროცლინი | 14 | 4 | 3 | 7 | 18-23 | 15 |
| სტომილი | 14 | 2 | 4 | 8 | 10-24 | 10 |

## თურქეთი

ბურსა — გალათასარაი 5-0
გენჩლერბირ — მალათია 1-2
ისთანბული — ანკარა 1-2
ქოჯაელი — სამსუნი 0-1
ბეშიქთაში — რიზე 2-1
გიოზთეფე — ანთალია 0-0
დიარბაქარი — იოზგათი 1-1
გაზიანთეფი — ფენერბახჩე 0-2
ტრაბზონი — დენიზლი 2-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 11 | 8 | 2 | 1 | 26-15 | 26 |
| ფენერბახჩე | 11 | 8 | 1 | 2 | 23-12 | 25 |
| ისთანბული | 11 | 7 | 1 | 3 | 10-6 | 22 |
| ბურსა | 11 | 6 | 1 | 4 | 19-19 | 19 |
| ბეშიქთაში | 11 | 5 | 3 | 3 | 26-19 | 18 |
| ქოჯაელი | 11 | 5 | 3 | 3 | 19-14 | 18 |
| გაზიანთეფი | 11 | 5 | 2 | 4 | 12-12 | 17 |
| გიოზთეფე | 11 | 4 | 5 | 2 | 10-10 | 17 |
| ტრაბზონი | 11 | 4 | 2 | 5 | 19-17 | 14 |
| სამსუნი | 11 | 4 | 2 | 5 | 11-15 | 14 |
| ანკარა | 11 | 4 | 1 | 6 | 28-22 | 13 |
| დენიზლი | 11 | 3 | 4 | 4 | 20-13 | 13 |
| ანთალია | 11 | 3 | 4 | 4 | 17-25 | 13 |
| გენჩლერბირ. | 11 | 2 | 5 | 4 | 22-24 | 11 |
| რიზე | 11 | 2 | 4 | 5 | 14-18 | 10 |
| დიარბაქარი | 11 | 2 | 3 | 6 | 16-23 | 9 |
| იოზგათი | 11 | 2 | 3 | 6 | 13-22 | 9 |
| მალათია | 11 | 2 | 0 | 9 | 7-26 | 6 |

## რუსეთი

(გადადებული შეხვედრები)

ანჟი — ტორპედო ზილი 0-2
ლოკომოტივი — როსტსელმაში 0-0
სპარტაკი — ტორპედო 2-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 29 | 17 | 9 | 3 | 55-28 | 60 |
| ლოკომოტივი | 29 | 15 | 8 | 6 | 51-23 | 53 |
| ზენიტი | 29 | 15 | 8 | 6 | 50-34 | 53 |
| ტორპედო | 29 | 14 | 7 | 8 | 52-42 | 49 |
| სატურნი | 29 | 13 | 8 | 8 | 45-20 | 47 |
| კრილია სოვეტ. | 29 | 13 | 7 | 9 | 36-23 | 46 |
| ცსკა | 29 | 11 | 11 | 7 | 37-30 | 44 |
| სოკოლი | 29 | 12 | 5 | 12 | 31-40 | 41 |
| დინამო | 29 | 9 | 8 | 12 | 37-49 | 35 |
| როსტსელმაში | 29 | 8 | 8 | 13 | 29-40 | 32 |
| როტორი | 29 | 8 | 7 | 14 | 38-42 | 31 |
| ანჟი | 29 | 7 | 10 | 12 | 28-34 | 31 |
| ტორპ. ზილი | 29 | 7 | 10 | 12 | 22-34 | 31 |
| ალანია | 29 | 7 | 8 | 14 | 28-47 | 29 |
| ფაკელი | 29 | 8 | 4 | 17 | 28-47 | 28 |
| ჩერნომორეცი | 29 | 5 | 8 | 16 | 18-52 | 23 |

## ავსტრია

ადმირა — რიდი 0-2
ავსტრია — კერნტენი 2-0
ზალცბურგი — ბრეგენცი 3-3
გრაცერი — შტურმი 1-1
ტიროლი — რაპიდი 2-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 16 | 13 | 3 | 0 | 38-1 | 42 |
| შტურმი | 16 | 9 | 5 | 2 | 28-12 | 32 |
| გრაცერი | 17 | 8 | 4 | 5 | 33-25 | 28 |
| კერნტენი | 16 | 7 | 3 | 6 | 17-23 | 24 |
| ზალცბურგი | 17 | 6 | 5 | 6 | 18-19 | 23 |
| ავსტრია | 17 | 5 | 5 | 7 | 23-22 | 20 |
| ბრეგენცი | 17 | 5 | 5 | 7 | 21-34 | 20 |
| რაპიდი | 17 | 5 | 3 | 9 | 15-23 | 18 |
| რიდი | 18 | 4 | 6 | 8 | 23-30 | 18 |
| ადმირა | 17 | 2 | 1 | 14 | 10-38 | 7 |

## შვეიცარია

იანგ ბოისი — ბაზელი 2-2
არაუ — ლოზანა 2-0
ლუცერნი — სიონი 2-6
ლუგანო — სტ. გალენი 1-1
გრასხოპერი — სერვეტი 3-0
ქსამაქსი — ციურიხი 1-1



ლიდსი – ტოტენჰემი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 18 | 10 | 4 | 4 | 44-31 | 34 |
| სიონი | 18 | 9 | 3 | 6 | 36-23 | 30 |
| სტ. გალენი | 18 | 8 | 6 | 4 | 34-28 | 30 |
| სერვეტი | 18 | 8 | 5 | 5 | 30-23 | 29 |
| ლუგანო | 18 | 8 | 5 | 5 | 31-28 | 29 |
| გრასხოპერი | 18 | 8 | 3 | 7 | 37-26 | 27 |
| იანგ ბოისი | 18 | 7 | 6 | 5 | 34-25 | 27 |
| არაუ | 18 | 7 | 6 | 5 | 25-21 | 27 |
| ციურიხი | 18 | 6 | 7 | 5 | 20-23 | 25 |
| ქსამაქსი | 18 | 5 | 6 | 7 | 24-28 | 21 |
| ლუცერნი | 18 | 3 | 2 | 13 | 20-53 | 11 |
| ლოზანა | 18 | 2 | 3 | 13 | 16-42 | 9 |

## დანია

ბრონდბიუ — ვაილე 6-1
აკადემისკი — სილკებორგი 1-0
მიდტიულანდი — ორჰუსი 2-0
ვიბორგი — ლიუნგბიუ 1-1
ოდენსე — კოპენჰაგენი 1-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 15 | 11 | 3 | 1 | 40-8 | 36 |
| აკადემისკი | 15 | 7 | 5 | 3 | 25-14 | 26 |
| კოპენჰაგენი | 15 | 7 | 5 | 3 | 22-13 | 26 |
| ოლბორგი | 14 | 8 | 2 | 4 | 24-22 | 26 |
| ესბიერგი | 14 | 8 | 1 | 5 | 22-21 | 25 |
| მიდტიულანდი | 15 | 5 | 7 | 3 | 18-13 | 22 |
| ოდენსე | 15 | 5 | 5 | 5 | 22-23 | 20 |
| ვიბორგი | 14 | 2 | 7 | 5 | 15-23 | 13 |
| ლიუნგბიუ | 15 | 2 | 7 | 6 | 16-25 | 13 |
| ვაილე | 14 | 3 | 4 | 7 | 19-35 | 13 |
| ორჰუსი | 15 | 2 | 5 | 8 | 14-26 | 11 |
| სილკებორგი | 15 | 0 | 4 | 11 | 10-29 | 4 |

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები



## რუმინეთის მთავარ საფეხბურთო არბიტრს ფოსტით თეთრი ფხვნილი გაუგზავნეს

**რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო კომიტეტის თავმჯდომარემ ნიკოლაი გრიგორესკუმ მიიღო წერილი მუქარით, ეს მუქარა კი განმტკიცებული იყო საფოსტო კონვერტში მოთავსებული თეთრი ფხვნილით.**

**„ჩემმა მდივანმა მიიღო წერილი ჩემს სახელზე თეთრი ფხვნილით" — განაცხადა გრიგორესკუმ. წერილის ანონიმური გამგზავნი ირწმუნება, რომ ფხვნილი ციმბირის წყლულის სპორებია. წერილში კი მუქარა იყო არა მხოლოდ გრიგორესკუს, არამედ მისი ოჯახის მიმართაც.**

**საგულისხმოა, რომ გრიგორესკუს წინამორბედმა სამსაჯო კომიტეტის პოსტზე იონ კრაჩუნესკუმ ბრძოლა გამოუცხადა კორუფციას რუმინულ ფეხბურთში და რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციამ რამდენიმე კვირის წინათ დაითხოვა თანამდებობიდან.**

**პოლიციამ დაიწყო საქმის გამოძიება. საეჭვო წერილი თეთრი ფხვნილით, გადაგზავნილია ლაბორატორიაში.**

## ელგერი მოსკოვის ცაზე მომხდარის შესახებ

„ლელოს" წინა ნომერში ვწერდით, რომ მოსკოვის „ლოკომოტივიდან" ჩემპიონთა ლიგის მატჩის შემდეგ მადრიდის „რეალი" ავიაკატასტროფას გადაურჩა. თვითმფრინავში, რომლითაც ესპანელები შინ ბრუნდებოდნენ იმავე საღამოს, აფრენიდან რამდენიმე წუთში კვამლის სუნი დატრიალდა და მგზავრები პანიკამ მოიცვა. როგორც გაირკვა, მარცხენა ძრავი გამოვიდა მწყობრიდან, ტურბინაში ფრინველის მოხვედრის შედეგად თვითმფრინავი უკან შემობრუნდა და უხიფათოდ დაეშვა მოსკოვის აეროპორტში.

რა სიტუაცია სუფევდა თვითმფრინავში ამ ინციდენტის დროს? ყველაზე მეტად მომხდარი განუცდია ნახევარმცველ ივან ელგერს. აი რა უამბო მან ჟურნალისტებს მადრიდში დაბრუნების შემდეგ: „როცა კვამლის სუნი ვიგრძენი, ალარაფერზე არ შემეძლო ფიქრი. მინდოდა სავარძლიდან ადგომა, მაგრამ სტიუარდესამ არ დამრთო ნება. თავს ვგრძნობდი ძალებისგან აბსოლუტურად დაცლილად. მე ვიყავი პანიკის ზღვარზე. ჩემგან განსხვავებით ბიჭები უფრო მშვიდად იყვნენ. ხუან მურო და პედრო მუნიტისი ჩემს დამშვიდებას ცდილობდნენ, მაგრამ შეუძლებელი იყო".




## სკოლარი ამბობს: „ბრაზილიას შესწევს ძალა მოიგოს მ/ჩ – 2002"

„ბრაზილიის ნაკრები არა მხოლოდ ხვდება 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, არამედ ერთ-ერთი კანდიდატი იქნება მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად" — ძე თვლის ბრაზილიელთა მთავარი მწვრთნელი ლუის ფილიპე სკოლარი. უპირველეს მეტოქეებად იგი მიიჩნევს არგენტინას და საფრანგეთს. მწვრთნელი დასძენს, რომ ზოგიერთი მატჩის შედეგის მიხედვით მსჯელობით, ხალხი უსაფუძვლოდ ვარდება პესიმიზმში და ყველას შეახსენებს საფრანგეთში დაჯერებულ თამაშს. „ბოლო ჩემპიონატის შემდეგ სულაც არ ვთამაშობთ ურიგოდ" — აცხადებს სკოლარი. მწვრთნელი შეეხო ნაკრების სავარაუდო შემადგენლობასაც. ბევრი მათგანი, ვინც ბოლო დროს მიიწვია, ნაკრებში დაიკავებს ადგილს. მწვრთნელი ეთანხმება ქვეყნის პრეზიდენტის შეფასებას იმის შესახებ, რომ შესარჩევ ტურნირში ბრაზილიელთა წარუმატებლობა, ისტორიას ჩაბარდა.

შეგახსენებთ, რომ სამხრეთ ამერიკის ჯგუფიდან მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გადის ოთხი გუნდი. ბრაზილიელები ახლა მეოთხე ადგილზე არიან და ორი ქულით უსწრებენ მეხუთე ადგილზე მყოფთ.

## ჩემპიონთა ლიგა — მეორე ჯგუფური ეტაპის კალენდარი

### A ჯგუფი

ბაიერნი (გერმანია), მანჩესტერი (ინგლისი), ნანტი (საფრანგეთი), ბოავიშტა (პორტუგალია).

***20 ნოემბერი:***
ბაიერნი — მანჩესტერი
ბოავიშტა — ნანტი

***5 დეკემბერი:***
მანჩესტერი — ბოავიშტა
ნანტი — ბაიერნი

***20 თებერვალი:***
ბოავიშტა — ბაიერნი
ნანტი — მანჩესტერი

***26 თებერვალი:***
ბაიერნი — ბოავიშტა
მანჩესტერი — ნანტი

***12 მარტი:***
მანჩესტერი — ბაიერნი
ნანტი — ბოავიშტა

***19 მარტი:***
ბაიერნი — ნანტი
ბოავიშტა — მანჩესტერი

### B ჯგუფი

ბარსელონა (ესპანეთი), ლივერპული (ინგლისი), გალათასარაი (თურქეთი), რომა (იტალია).

***20 ნოემბერი:***
გალათასარაი — რომა
ლივერპული — ბარსელონა

***5 დეკემბერი:***
ბარსელონა — გალათასარაი
რომა — ლივერპული

***20 თებერვალი:***
ბარსელონა — რომა
ლივერპული — გალათასარაი

***26 თებერვალი:***
გალათასარაი — ლივერპული
რომა — ბარსელონა

***12 მარტი:***
ბარსელონა — ლივერპული
რომა — გალათასარაი

***19 მარტი:***
გალათასარაი — ბარსელონა
ლივერპული — რომა.

### C ჯგუფი

რეალი (ესპანეთი), პანათინაიკოსი (საბერძნეთი), პორტუ (პორტუგალია), სპარტა (ჩეხეთი).

***21 ნოემბერი:***
პანათინაიკოსი — პორტუ
სპარტა — რეალი

***4 დეკემბერი:***
პორტუ — სპარტა
რეალი — პანათინაიკოსი

***19 თებერვალი:***
რეალი — პორტუ
სპარტა — პანათინაიკოსი

***27 თებერვალი:***
პანათინაიკოსი — სპარტა
პორტუ — რეალი

***11 მარტი:***
პორტუ — პანათინაიკოსი
რეალი — სპარტა

***20 მარტი:***
პანათინაიკოსი — რეალი
სპარტა — პორტუ

### D ჯგუფი

იუვენტუსი (იტალია), დეპორტივო (ესპანეთი), არსენალი (ინგლისი), ბაიერი (გერმანია).

***21 ნოემბერი:***
დეპორტივო — არსენალი
იუვენტუსი — ბაიერი

***4 დეკემბერი:***
არსენალი — იუვენტუსი
ბაიერი — დეპორტივო

***19 თებერვალი:***
ბაიერი — არსენალი
იუვენტუსი — დეპორტივო

***27 თებერვალი:***
არსენალი — ბაიერი
დეპორტივო — იუვენტუსი

***11 მარტი:***
არსენალი დეპორტივო
ბაიერი — იუვენტუსი

***20 მარტი:***
დეპორტივო — ბაიერი
იუვენტუსი — არსენალი

## აშშ-ში შეიქმნა მხოლოდ მუსულმანებისგან დაკომპლექტებული საფეხბურთო გუნდი

ეს პირველი შემთხვევაა, როცა აშშ-ში სარწმუნოების ნიშნით იქმნება საფეხბურთო გუნდი. უფრო გასაკვირი ისაა, რომ ესაა მუსულმან ქალთა გუნდი, რომლის ორგანიზატორები მიზნად ისახავენ... ბრძოლას სტერეოტიპების წინააღმდეგ. ახალშექმნილმა გუნდმა უკვე ჩაატარა ერთი მატჩი და პირველი გოლიც გაიტანა,



თუმცა საკუთარ კარში 28 მიიღო. ქალიშვილები აცხადებენ, რომ 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ მათდამი გულშემატკივართა მხარდაჭერა გაძლიერდა. გუნდს ჰქვია „ანსარ იუნაიტედი". შეილი ჯოლი, რომელიც სხვა გუნდში თამაშობს გაერთიანებულ ლიგაში, ამბობს: „მე ცუდად ვერკვევი ისლამში, მაგრამ თუ ისინი გამოდიან მინდორზე უჩადროდ და გრძელი კაბის გარეშე და ამის ნებას რთავს ისლამი, ყველაფერ ამაში არაფერია უცნაური".

## უეფას თასი — 1/16 ფინალი

პსვ (ჰოლანდია) — პაოკი (საბერძნეთი)
ფიორენტინა (იტალია) — ლილი (საფრანგეთი)
ვალენსია (ესპანეთი) — სელტიკი (შოტლანდია)
სერვეტი (შვეიცარია) — ჰერტა (გერმანია)
იფსვიჩი (ინგლისი) — ინტერი (იტალია)
პსჟ (საფრანგეთი) — რეინჯერსი (შოტლანდია)
ფეიენოორდი (ჰოლანდია) — ფრაიბურგი (გერმანია)
აეკ (საბერძნეთი) — ლიტექსი (ბულგარეთი)
გრასჰოპერი (შვეიცარია) — ლიდსი (ინგლისი)
ბრონდბიუ (დანია) — პარმა (იტალია)
ბორდო (საფრანგეთი) — როდა (ჰოლანდია)
ლიბერეცი (ჩეხეთი) — მალიორკა (ესპანეთი)
ჰაპოელი (ისრაელი) — ლოკომოტივი (რუსეთი)
კოპენჰაგენი (დანია) — ბორუსია (გერმანია)
სპორტინგი (პორტუგალია) — მილანი (იტალია)
ბრიუგე (ბელგია) — ლიონი (საფრანგეთი)

***პირველი შეხვედრები გაიმართება 22 ნოემბერს, განმეორებითი — 6 დეკემბერს.***

## კახი კალაძე: «ეს იყო ჩვენი ყველაზე უსუსური მატჩი ამ სეზონში»

ასე შეაფასა „მილანის" ქართველმა ლეგიონერმა „ტორინოსთან" წაგებული (0-1) მატჩი. „ზოგჯერ ხდება, თამაში არ გამოსდის ერთ ან ორ მოთამაშეს, ახლა კი სულ მცირე, ნახევარი გუნდი იყო უსუსური. ვერც კი მომიძებნია მიზეზი, თუ რამ გამოიწვია ეს ჩავარდნა. ზედაპირულად ვხედავ მხოლოდ ორ გარემოებას: არც ისე პრინციპულ, მაგრამ საკმაოდ მნიშვნელოვანი მატჩის ჩატარებას სოფიის ცსკა-სთან „ტორინოსთან" შეხვედრამდე სამი დღით ადრე, და, მეორე — ანდრეი შევჩენკოს გარეშე გამოსვლა მოედანზე. შუა ხაზი ვერ უძლებს ვერანაირ კრიტიკას. არც პასიური ალბერტინის სიმონეთი შეცვლამ გაამართლა. უსაზღვრო იყო ინდივიდუალური თამაშით გატაცება. სრულიად მარტივ სიტუაციაში ბურთის დაკარგვით კი მეტოქეს მწვავე კონტრშეტევის ჩინებული შესაძლებლობა ეძლეოდა. „ტორინო" ნამდვილად ძლიერად გამოიყურებოდა, მის კაპიტანს — ასტას კი მატჩის საუკეთესო გმირად დავასახელებდი" — უთხრა ჟურნალისტებს კალაძემ.






## ბოკშიჩმა უარი განაცხადა ნაკრებში თამაშზე

ხორვატიის ფეხბურთის ვარსკვლავმა ალენ ბოკშიჩმა ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს შეუთვალა, რომ ნუ ექნება მისი იმედი ორ ამხანაგურ მატჩში — სამხრეთ კორეასთან. ინგლისის „მიდლსბროს" ფორვარდმა მიზეზად მოიტანა პირადი საქმეების მოსაგვარებლად რომში გამგზავრება, სადაც მისი ცოლ-შვილი და შვილები ცხოვრობენ. ამასთან, ცნობილი გახდა, რომ ალენს არც კლუბის ხელმძღვანელობა ურჩევს ნაკრებში არც თუ ისე აუცილებელ თამაშს. „მიდლსბროს" ხელმძღვანელობას, ცხადია, სურს ბოკშიჩი პრემიერ-ლიგის მატჩში „ასტონ-ვილასთან" ძალებშემონახული ათამაშოს.

*სურათზე: ალენ ბოკშიჩი*

## „ლოკომოტივის" საერთაშორისო რეიტინგი იზრდება, „სპარტაკის" ეცემა

მოსკოვის „ლოკომოტივის" ბოლოდროინდელმა წარმატებებმა რუსეთის ფეხბურთის საერთაშორისო ავტორიტეტში ღირებულებათა გადაფასება მოახდინა. ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციის (ფისსფ) რეიტინგით ოქტომბერში „ლოკომოტივის" რეიტინგი მნიშვნელოვნად ამაღლდა. ახლა რკინიგზელები 175,5 ქულით 36-ე საფეხურზე არიან. „სპარტაკი" კი მხოლოდ 61-ე ადგილზეა.

## იუმორი

**კომენტატორის** კაბინაში ადგილობრივი გუნდის მწვრთნელი შედის.

— მომისმინეთ, — ეუბნება კომენტატორს, — არ შეგიძლიათ რეპორტაჟი ნელ ტემპში წაიყვანოთ? ჩვენს ბიჭებს არ შეუძლიათ ასეთი სისწრაფით თამაში.

***კომენტატორი:*** ჩვენს გუნდს არ ჰყოფნის ტექნიკა, სულ პატარა ბულდოზერიც კი, ძირფესვიანად შეცვლიდა მდგომარეობას მინდორზე...

***კომენტატორი:*** ფეხბურთი მშვიდობის დესპანია. ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში ყველა ომი წყდებო' — ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის დროს (?!)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნბა




**3 ნოემბერი**
ვაშინგტონი — ფილადელფია 90:76
ატლანტა — მაიამი 90:83
ნიუ ჯერსი — შარლოტი 95:85
კლივლენდი — ორლანდო 69:99
ჩიკაგო — ნიუ იორკი 84:79
ჰიუსტონი — მინესოტა 88:90
მილუოკი — ბოსტონი — 105:99
დენვერი — საკრამენტო 94:106
სიეტლი — იუტა 74:91
პორტლენდი — სან ანტონიო 90:106
კლიპერსი — გოლდენ სტეიტი 94:93

**4 ნოემბერი**
მემფისი — დალასი 85:94
ტორონტო — ინდიანა 113:100
დეტროიტი — ვაშინგტონი 100:78
ფინიქსი — ჰიუსტონი 100:103
საკრამენტო — სან ანტონიო 103:86
გოლდენ სტეიტი — პორტლენდი 96:86
ლეიკერსი — იუტა 100:96

## აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტიკის დივიზიონი

| | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 3 | 1 | 75,0 |
| ორლანდო | 2 | 1 | 66,7 |
| ბოსტონი | 2 | 2 | 50,0 |
| ვაშინგტონი | 2 | 2 | 50,0 |
| მაიამი | 1 | 2 | 33,3 |
| ნიუ-იორკი | 1 | 2 | 33,3 |
| ფილადელფია | 0 | 3 | 0 |

ცენტრალური დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| მილუოკი | 3 | 0 | 100,0 |
| დეტროიტი | 3 | 1 | 75,0 |
| შარლოტი | 2 | 1 | 66,7 |
| ინდიანა | 2 | 2 | 50,0 |
| ტორონტო | 2 | 2 | 50,0 |
| ატლანტა | 1 | 2 | 33,3 |
| ჩიკაგო | 1 | 2 | 33,3 |
| კლივლენდი | 1 | 3 | 25,0 |

## დასავლეთის კონფერენცია

შუა დასავლეთის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| მინესოტა | 3 | 0 | 100,0 |
| დალასი | 3 | 1 | 75,0 |
| ჰიუსტონი | 3 | 1 | 75,0 |
| სან ანტონიო | 2 | 2 | 50,0 |
| დენვერი | 1 | 2 | 33,3 |
| იუტა | 1 | 3 | 25,0 |
| მემფისი | 0 | 3 | 0 |

პასიფიკის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლეიკერსი | 4 | 0 | 100,0 |
| საკრამენტო | 3 | 0 | 100,0 |
| გოლდენ სტეიტი | 2 | 2 | 50,0 |
| სიეტლი | 1 | 2 | 33,3 |
| ფინიქსი | 1 | 3 | 25,0 |
| პორტლენდი | 1 | 3 | 25,0 |
| კლიპერსი | 0 | 3 | 0 |




თურქეთის ქალაქ ანთალიაში მიმდინარეობს მსოფლიოს ჩემპიონატი ძალოსნობაში.

*მამაკაცები (56 კგ)*
1. ჰალილ მუთლუ. (თურქეთი) — 300 კგ
2. სინ იან ვანი (ტაივანი) — 280
3. უილიამ ვარგასი (კუბა) — 277,5

*ქალები (48 კგ)*
1. ვეი გაო (ჩინეთი) — 190
2. ბლესინგ უდო (ნიგერია) — 175
3. ჰან ჩუნ ჩენი (ტაივანი) — 170





# საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია და მასთან არსებული სტომატოლოგიური ინსტიტუტი

## აცხადებს მიღებას

## 2001-2002 სასწავლო წლისთვის ასპირანტურის დღის (წარმოებიდან მოწყვეტით) განყოფილებაზე.

**მიღება წარმოებს შემდეგ სპეციალობებზე:**
1. სპ/მედიცინა — 2 ადგილი
2. ბიომექანიკა და სპ/მეტროლოგია — 1 ადგილი
3. ფ/ა თეორია და მეთოდიკა — 1 ადგილი
4. ტანვარჯიში — 1 ადგილი
5. ფეხბურთის სპეციალობით — 1 ადგილი
6. სტომატოლოგია — 3 ადგილი

აკადემიაში მიღება იწარმოებს აგრეთვე ფასიან სექტორზე. წლიური გადასახადი არის 300 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში.

სტომატოლოგიის ინსტიტუტში მიღება იწარმოებს მხოლოდ ფასიან სექტორზე. წლიური გადასახადი შეადგენს 1000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარებში.

ასპირანტურაში მიიღებიან უმაღლესი განათლების მქონე მოქალაქეები 35 წლის ასაკამდე, რომლებსაც აქვთ სპეციალობით მუშაობის არანაკლებ ორი წლის სტაჟი. 2001 წელს კურსდამთავრებულებს უფლება აქვთ ჩააბარონ მისაღები გამოცდები იმ შემთხვევაში, თუ მათ ექნებათ აკადემიის სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაცია.

სპორტის აკადემიაში შემსვლელები აბარებენ ორ გამოცდას — სპეციალობაში და უცხო ენაში.

კონკურსში მონაწილემ უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:
1. განცხადება რექტორის სახელზე
2. აღრიცხვის ფურცელი
3. უმაღლესი განათლების დიპლომის ასლი
4. 4 ფოტოსურათი (ზომით 3X4)
5. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან
6. ავტობიოგრაფია
7. ჯანმრთელობის ცნობა
8. გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია (ვისაც სამეცნიერო შრომები არა აქვს, ის წარმოადგენს რეფერატს სპეციალობაში)
9. მეცნიერ-ხელმძღვანელის თანხმობა.

საბუთების მიღება წარმოებს 2001 წლის 5-დან 15 ნოემბრის ჩათვლით. გამოცდები დაიწყება 21 ნოემბერს (მეორე გამოცდა 28 ნოემბერს). დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ასპირანტურის განყოფილებაში.

მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. №49. ტელ. 29-37-94


# ილიუმჟინოვი საჭადრაკო გრან-პრის ამზადებს



ფიდეს პრეზიდენტს კირსან ილიუმჟინოვს ჩაფიქრებული აქვს ჭადრაკის მოყვარულთა ყურადღება მიაპყროს დინამიური საჭადრაკო შეჯიბრებით. „ჩვენ გადავწყვიტეთ, როგორც „ფორმულა-1“-ში, ჩავატაროთ გრან-პრის საჭადრაკო ტურნირები, რათა გავაღრმავოთ ინტერესი ამ უძველესი თამაშისადმი“ — განაცხადა ფიდეს პრეზიდენტმა. შეჯიბრება ჩატარდება ოლიმპიური სისტემით, როცა წაგებული გამოეთიშება ასპარეზობას. გამარჯვებული გამოვლინდება ათ დღეში. ამ დინამიურ ტურნირში იასპარეზებს 32 მოჭადრაკე — 16 უძლიერესი ფიდეს რეიტინგით და ამდენივე მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე (მოსკოვი), ასეთი სუპერშეჯიბრების მასპინძლობის სურვილი, ფიდეს პრეზიდენტის თქმით, უკვე გამოთქვეს პლანეტის ათობით ქალაქმა.

# ილიუმჟინოვმა უცნაური ტენდერი გამოაცხადა

ფიდეს პრეზიდენტმა კირსან ილიუმჟინოვმა ლონდონში ტენდერი გამოაცხადა საუკეთესო კომპიუტერულ პროგრამაზე, რომელთანაც ითამაშებს მსოფლიოს მე-16 ჩემპიონი ჭადრაკში. შეიქმნა კომპეტენტური ჟიური მსოფლიოს საუკეთესო კომპიუტერული კომპანიების წარმომადგენლების მონაწილეობით. ისინი დემოკრატიულად შეარჩევენ საუკეთესოს. ეს წამოწყება მომგებიანია ყველა კომპიუტერული კომპანიისთვის რეკლამის თვალსაზრისით, ამიტომ ახალი სისტემის შექმნისთვის, ფიდე ერთ დოლარსაც არ გაიღებს.

# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**6 ნოემბერი, სამშაბათი**
*საქართველოს ტელევიზია. ევრიკა.* მსოფლიო სპორტი (10.45, 21.10), ***EUROSPORT***. რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (13.00), ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი (14.00, 19.30, 22.30, 3.15), ფეხბურთი. ევროგოლები (15.30), ფეხბურთი. მსოფლიო 2002 წლის შესახვედრად (21.00), ***НТВ плюс футбол***. გერმანიის (15.00), ინგლისის (20.25) ჩემპიონატების მიმოხილვა, მსოფლიო ფეხბურთი (19.25), ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი (0.30), ***НТВ плюс спорт***. კრივი. პროფესიონალთა ბრძოლები (15.55), სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი (16.40), სპორტული ცეკვები. პროფესიონალთა საერთაშორისო ტურნირი (20.00). კიკბოქსინგი. პროფესიონალთა მატჩი (1.15).

**7 ნოემბერი, ოთხშაბათი**
*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* ჩვენი ფეხბურთი (10.05), ***რუსთავი-2.*** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (15.20), ევრიკა. მსოფლიო სპორტი (10.45, 22.30). ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (12.35, 20.00), ***EUROSPORT***. ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი (11.30, 16.00, 19.30, 22.30). რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (14.00), ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. უეფა (0.00, 1.00), ***НТВ плюс футбол***. ინგლისის (15.45), იტალიის (20.55), გერმანიის (0.30) ჩემპიონატების მიმოხილვა. ***НТВ плюс спорт***. სპორტული ცეკვები. პროფესიონალთა საერთაშორისო ტურნირი (12.05), სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი (14.20). ჩოგბურთი. ფინალური ტურნირი ფედერაციის თასზე (17.00), კალათბურთი. ევროლიგა (23.25), ტაილანდური კრივის ვარსკვლავები (1.30).

**8 ნოემბერი, ხუთშაბათი**
***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** ევროპის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (19.00), ***ევრიკა.*** მსოფლიო სპორტი (10.45, 21.40), ***EUROSPORT***. ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი (11.30, 16.00, 19.30, 22.00, 3.15). ფეხბურთი: მსოფლიო 2002 წლის შესახვედრად (12.30, 21.00, 21.30). ჩემპიონთა ლიგა. უეფა (0.00, 1.00), კრივი. საერთაშორისო მატჩი (2.15). ***НТВ плюс футбол***. იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (15.15), ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა (16.10, 0.55), ***НТВ плюс спорт***. კალათბურთი. ევროლიგა (12.15, 23.25), ტაილანდური კრივის ვარსკვლავები (14.00), ჩოგბურთი. ფედერაციის თასი (17.00), ნბა-ს მიმოხილვა (22.30, 2.00).

# ტანვარჯიშის დოპინგი?

**ორი ტანმოვარჯიშე ჩაფლავდა დოპინგ-კონტროლზე, რომელიც ბრისბენში კეთილი ნების თამაშების მონაწილეებს ჩაუტარდათ. ამის შესახებ განცხადება გააკეთა ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციამ, მას შემდეგ, რაც სოკ-ის დოპინგ-კონტროლის სააგენტომ ტესტის შედეგები გამოაქვეყნა. ტანმოვარჯიშეთა გვარებს არ ასახელებენ. ცნობილია, მხოლოდ ის, რომ სპორტსმენებმა გამოიყენეს ფუროსემიდი. ორივე ტანმოვარჯიშე უდანაშაულოდ მიიჩნევა განმეორებითი ანალიზის ჩატარებამდე.**

# კროსვორდი №87



**თარაზულად:** 1. სპორტის სახეობა, 7. წინასწარ მიცემული თანხა, 8. თბილისის „დინამოს“ ვეტერანი ფეხბურთელი, 9. საერთაშორისო ოლიმპ. კომიტეტის ახალი პრეზიდენტი, 11. ბელგიის საფეხბურთო კლუბი, 12. „ლივერპულის“ ფრანგი მწვრთნელი, 13. კრივის საერთაშორისო ფედერაცია, 14. პორტუგალიის საფეხბ. კლუბი, 16. სპორტის ორთაბრძოლის სახეობა, 17. „იუვენტუსის“ ყოფილი საფეხბ. მწვრთნელი, 19. ფეხბურთელები დინო და რობერტ ... 20. სატელევიზიო გადაცემების კოშკურა, 22-23. იტალიის სერია „ბ“-ს საფეხბურთო კლუბი, 24. თბილისის „დინამოს“ ყოფილი მწვრთნელი.

**შვეულად:** 2. ინგლისის პრემიერ-ლიგის საფეხბ. გუნდი, 3. ნარნარი ფრენა, 4. შვედი ფეხბურთელი, 5. პორტუგალიის საფეხბ. გუნდი, 6. დიდი კომპლექსური სპორტული შეჯიბრება სსრ კავშირის დროს, 10. ქართველი ვაჟი ჩოგბურთელი, 15. შოტლანდიის საფეხბ. კლუბი გლაზგო ... 18. მატჩის ერთი ნახევარი, 19. მძლეოსანთა სატყორცნი იარაღი, 21. ცნობილი რიგელი მოჭადრაკე, დიდოსტატი.

## კროსვორდი №86 • პასუხები:

**თარაზულად:** 5. ტიანშანი, 6. ალი, 8. კაბანოვი, 9. „ივერია“, 10. იტო, 11. ჩემბერლენი, 12. ლი, 15. კოშე, 17. ნონა, 20. პრესკონფერენცია, 24. ათენი, 25. ინსაიდი, 26. იოსელიანი. **შვეულად:** 1. გასკოინი, 2. ბაბნიჩი, 3. ტაპი, 4. კაბრინი, 7. გვალია, 13. უკლება, 14. ენეი, 16. ვერონი, 18. სპორტი, 19. „ოფი“, 21. კოე, 22. ცზიუ, 23 „ამიცა“.

## საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი



<u>ნადიშამათი 2 სვლაში</u>

(სამი ამოხსნა)

**წინა ნომერში გამოქვეყნებული (ნადიშამათი 3 სვლაში) ორი ამოხსნით:**
**I ამოხსნა:**
**1. მფd1 მb1 2. მd2 კb2. 3. ლe1 მc3X.**
**II ამოხსნა:**
**1. მფd3 მb3 2. მd2 მფb5. 3. ლe4 მc1X.**

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, 8. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX • „ლელოს“ კომპიუტერული ცენტრი: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.